ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეთერ ნებიერიძე

თეონა კუპატაძე

მულტისექტორული რეაგირება ოჯახში ძალადობის დასაძლევად - საერთაშორისო და ადგილობრივი პერსპექტივა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

სალომე ნამიჭეიშვილი

თბილისი 2018

ანოტაცია 4
Annotation 6
შესავალი 7
თავი 1. მულტისექტორული რეაგირების პრინციპები 10
1.1.რა არის მულტისექტორული რეაგირება 10
1.2.რატომ არის მულტისექტორული რეაგირება საჭირო 11
1.3.გენდერზე დაფუძნებული ძალადობისას მულტისექტორული რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები 12
1.4 მულტისექტორული რეაგირების ამოცანები 13
ფსიქო-სოციალური 13
სოციალური მუშაკის როლი 15
ჯანდაცვის მომსახურების ამოცანები 17
სამართალდამცავი სისტემის ამოცანები 20
თავი 2. ოჯახში ძალადობა 22
2.1. რა არის ოჯახში ძალადობა 22
2.2. ოჯახში ძალადობის არსი 23
2.3. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები 26
2.4. ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული თეორიები 27
2.5. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა 32
2.6. სამართლებრივი ჩარჩო 33
თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია 38
3.1. კვლევის მიზანი და ძირითადი საკვლევი თემები 38
3.2. თვისებრივი კომპონენტის მიზნები და შერჩევა 38
3.2.1. მეთოდები 40
3.2.2. მონაწილეები და შერჩევა 41
3.2.3. ინსტრუქციები და კვლევის ეთიკა 41
3.2.4. კვლევის შეზღუდვები 42
3.2.5. სამუშაოს შესრულების პრინციპი 42
თავი 4. კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და ანალიზი 43
4.1. ოჯახში ძალადობის არსი - ექსპერტთა განმარტებები 43
4.2. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი 45

4.3. ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარების გზები მულტისექტორული თანამშრომლობის გზით 47
4.4. შემაჯამებელი მსჯელობა და ძირითადი მიგნებები 49
4.5. ფოკუს ჯგუფების შედეგების ანალიზი 52
თავი 5. ძირითადი რეკომენდაციები 58
თავი 6. დასკვნა 60
თავი 7. გამოყენებული ლიტერატურა 61

ანოტაცია

გენდერზე დაფუძნებული ძალადობა და ოჯახში ძალადობა, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ერთ-ერთ მძიმე, სპეციფიკურ და მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სახელმწიფო მრავალფეროვან პროცედურებს მიმართავს, რაც სხვადასხვა ინსტიტუციების აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. უკვე მრავალი ათეული წელია იბრძვიან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, თუმცა ის მაინც ჰპოვებს სხვადასხვა სახის გამოვლინებებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოჯახში ძალადობა აღარ განიხილება მხოლოდ „ოჯახის საქმედ“ და მან უფრო მასშტაბური მნიშვნელობა მიიღო, რაც გულისხმობს, რომ ოჯახში ძალადობა დანაშაულია საზოგადოების წინაშე და ის კანონით ისჯება.

იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის დაძლევა იყოს ეფექტური, საჭიროა ამ პროცესში ჩაერთოს არა მხოლოდ ერთი უწყება, არამედ სხვადასხვა ინსტიტუცია ერთობლივად. ისეთი ინსტიტუციცები, როგორებიცაა სამართალდამცავი უწყება, ჯანდაცვის სისტემა, ფსიქო-სოციალური მომსახურება, უნდა ახორციელებდნენ ერთობლივ, კომპლექსურ ღონისძიებებს ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის აღმოსაფხვრელად.

სწორედ იმის დადგენას ემსახურება აღნიშნული კვლევა, თუ როგორი უნდა იყოს მულტისექტორული რეაგირება, რომ ოჯახში ძალადობა ეფექტურად დაიძლიოს. კვლევის ამოცანებს წარმოადგენს, ზოგადად, ოჯახში ძალადობის არსის და სპეციფიკის ახსნა; მრავალსექტორული რეაგირების მნიშვნელობის ახსნა და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა; იმის გარკვევა, თუ როგორ ხორციელდება სხვადასხვა უწყებებს შორის თანამშრომლობა. კვლევის საგანს წარმოადგენს მულტისექტორული სისტემის გაცნობა და მასზე დაკვირვება, ხოლო კვლევის ობიექტები არიან მულტისექტორულ გუნდში შემავალი ინსტიტუციები, რომლებიცაა: პოლიცია, სოციალური მუშაკი, ჯანდაცვის წარმომადგენლები. აღსანიშნავია მულტისექტორულ გუნდში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და ჩართულობა.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუებიდან და ფოკუს ჯგუფებიდან გამოაშკარავდა, რომ მულტისექტორულ რეაგირებაში ჩართული გუნდის თითოეული წევრისთვის საჭიროა ოჯახში ძალადობის სპეციფიკისა და სირთულის უფრო მეტად და სიღრმისეულად გაცნობა, ერთობლივი სამოქმედო გეგმის დასახვა, რომელიც საერთო პრინციპებს დაეფუძნება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თავად მულტისექტორულ რეაგირებაში ჩართული გუნდის წევრების ცნობიერების ამაღლება. აუცილებელ პროცედურას წარმოადგენს მონიტორინგი. გამოკითხული ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ, მულტისექტორულ გუნდში ისეთი ინსტიტუციის ჩართვის აუცილებლობაზე, როგორიცაა განათლების სისტემა. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა, პროკურატურის მონაწილეობის გაუმჯობესების აუცილებლობა და ხარვეზები გამოვლინდა კვლევის პროცესში. აღსანიშნავია, რომ მულტისექტორული გუნდის ყველაზე აქტიურ წევრად სამართალდამცავი ორგანო, პოლიცია სახელდება. ექსპერტები ჯანდაცვის სისტემის ჩართულობის და გააქტიურების აუცილებლობაზე საუბრობენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის სოციალური მუშაკების პრობლემის გადაჭრა.

კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში განხილულია მულტისექტორული რეაგირების განხორციელების ეფექტური გზების დადგენა.

Annotation

Gender based violence and Domestic violence like all over the world, one in Georgia too represents hard, specific and acute problem. The State apply various procedures to eliminate this problem, which require different institutions engagement. Already for many decades, they have been fighting against Domestic violence, though she still finds it different types of manifestations. It is worth mentioning, that Domestic violence no longer considered only as “Family work”, and he has a bigger meaning, which means that, Domestic violence is a crime before the society and the law is punished.

For that Domestic violence/Gender based violence overcoming is effective, it is necessary in this process get involved not only one agency but also different institucions together. Institutions such as, Lav enforcement system, Healt care system, Psycho-social servise, should be exercised joint, complex events to eradicate Domestic violence/Gender based violence.

That is how it works this research, how it should be multi-sectoral response that domestic violence effectivelu overcome. The objective of the research is, in general, explaining domestic violence meaning and specific, explaining multi-sectoral response and introducing international experience, to clear it, how it is implemented cooperation between different departments. The subject of mesearch is introducing multi-sectoral system and to observe it. Research objects are institutions included in the multi-sectoral team. Which are: Police, Social Worker, Healt care Representatives. It should me noted, in a multi-sectoral team the role and involvement of NGOs.

Within of research from conducted interviews and focus groups it was revealed that for each member involved in multi-sectoral response is necessary specifics and complecity of domestic violence introducing more and deeper. Set up a joint action plan, which will be based on common principles. One of the important reasing awareness members of the team involved in multi-sectoral response the necessary procedure is monitoring. Interviewed experts are paying attention one the necessity in the multy-sectoral team such institution, such as Ministry of Education, despite the measures taken and changes in the legislation, was revealed the necessity of improving and flaws the participation of the Prosecutor’s office. It should be noted that, the law enforcement system, police, is named asone of the most active members of the multi-sectoral team. Experts talk about the need for involvement and activation of the health care system. One of the most important issues is solving the problem of social workers.

Research is important as much as possible it is considered to determine the effective ways of implementing multi-sectoral response.

შესავალი

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი აქტუალური და მწვავე პრობლემაა, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია და მსოფლიოს მასშტაბით ვხვდებით. ამ მხრივ გამონაკლისი არ არის საქართველოც. ოჯახში ძალადობა კომპლექსური პრობლემაა, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ ერთობლივ, კოორდინირებულ მიდგომას საჭიროებს. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს და ეფექტურად იფუნქციონიროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმებმა საჭიროა, სხვადასხვა უწყებების ერთობლივი, თანმიმდევრული და სისტემური ღონისძიებების შემუშავება. ამის თქმის საფუძველს და შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობას, მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუების შედეგები გვაძლევს.

ოჯახში ძალადობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული მულტისექტორული რეაგირება საჭიროა იმდენად, რამდენადაც ოჯახში ძალადობა შეიძლება საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა განიცადოს, მიუხედავად მისი რელიგიური მრწამსისა, ეთნიკური წარმომავლობისა, რასისა, სოციალური თუ კულტურული კუთვნილებისა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობას და გენდერზე დაფუძნებულ ძალადობას ყველაზე ხშირად ქალები და ბავშვები განიცდიან. ამის თქმის საფუძველს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემები გვაძლევს, რომლის მიხედვითაც, მთელი ცხოვრების მანძილზე ქალთა დაახლოებით 70% განიცდის სხვადასხვა სახის ძალადობას.[1]ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არა მხოლოდ ქალთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას, ის ასევე აისახება და სერიოზულ გავლენას ახდენს ბავშვზე, ოჯახსა და მთლიანად საზოგადოებაზე. ოჯახში ძალადობა ზღუდავს ქალის უფლებას აქტიურად და სრულფასოვნად ჩაერთოს სოციალურ ცხოვრებაში. ძალადობის მსხვერპლები საჭიროებენ მრავალფეროვან მომსახურებას, რომელიც შეიძლება იყოს ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, ჯანდაცვის მომსახურება, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სამართალდაცვა, უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სოციალური

1. ნ. ჭაბუკიანი, გ. ჯიბლაძე, ნ. უბილავა, საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, ქალთა ფონდი საქართველოში, თბილისი, 2014

მუშაკის მხარდაჭერა. იმისათვის, რომ ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს ეფექტურად გაეწიოს დახმარება, ჩამოთვლილი სტრუქტურების მომსახურება უნდა იყოს ერთიან მექანიზმზე დაფუძნებული.

მოცემული კვლევის მიზანია ოჯქხში ძალადობის ეფექტურად დასაძლევად, მულტისექტორული რეაგირების პროცედურების დადგენა. კვლევის მიზნის დასასაბუთებლად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს ოჯახში ძალადობა.
2. გარკვევა იმისა, თუ როგორ ხორციელდება მრავალსექტორული თანამშრომლობა.
3. მულტისექტორული რეაგირების საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა.
4. სახელმწიფოს როლის დადგენა მულტისექტორული რეაგირების პროცესში.

აღნიშნული კვლევისთვის შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის ფარგლებში შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. მოხდა დოკუმენტების ანალიზი, ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები. ექსპერტული ინტერვიუს ფარგლებში ჩატარდა ათი ექსპერტული ინტერვიუ. შერჩეული რესპოდენტები არიან, ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ექსპერტები, სახელმწიფო ინსტიტუციებში მომუშავე ექსპერტები, იურისტები და სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები.

ექსპერტები შერჩეულ იქნა საკვლევი თემიდან გამომდინარე. სატელეფონო შეთანხმებით და პირადი განცხადების საფუძველზე, რომელიც საჭირო აღმოჩნდა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე პირებთან შესახვედრად. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი: პოლიციელებთან, ექიმებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სოციალურ მუშაკებთან.

ოჯახში ძალადობის შესახებ მრავალი კვლევა არსებობს. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველოში მულტისექტორული რეაგირების განხორციელებისა და განვითარებისათვის სახელმწიფო ამჟამად ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს და ეს საკითხი მეტად აქტუალურია. ინსტიტუციებს შორის კოორდინირებული, თანმიმდევრული თანამშრომლობა და პროცესების მონიტორინგი ჯერ

კიდევ არ მიმდინარეობს გამართულად. სწორედ ამის გამომწვევი მიზეზების დადგენა და იმის გარკვევა არის კვლევის მიზანი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მულტისექტორული თანამშრომლობა სათანადოდ და ეფექტურად. ვფიქრობ, სწორედ ეს განასხვავებს ჩვენს კვლევას სხვა კვლევებისაგან.

თავი 1. მულტისექტორული რეაგირების პრინციპები

1.1 რა არის მულტისექტორული რეაგირება

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად საჭიროა მულტისექტორული რეაგირება, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებული იქნება გენდერის ნიშნით ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვაზე.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული რეაგირება გულისხმობს პოლიციის, სოციალური მუშაკებისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების ეფექტურ, კოორდინირებულ ჩართვას და რეაგირებას ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე, პრევენციასა და აღკვეთაზე.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული რეაგირება დამყარებულია შიდა ინსტიტუციონალურ ამხანაგობასა და თანამშრომლობაზე. იმისათვის, რომ მულტისექტორული რეაგირება იყოს ეფექტური, საჭიროა ყველა ჩართული სტრუქტურის/ინსტიტუციის ფილოსოფია და ფასეულობები გენდერზე დაფუძნებულ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე იყოს გააზრებული და შეთანხმებული. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინსტიტუციები/სტრუქტურები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შედგენილი და შემუშავებული პრინციპებითა და სტანდარტებით.[2]

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული რეაგირება ეფუძნება ჰოლისტურ და კოორდინირებულ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციების/სტრუქტურების (სამართალდამცავი სისტემა, ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის და ჯანდაცვის სისტემის) ჰარმონიულ თანამშრომლობას.

---

2. Multi-sectoral response to GBV, AN effective and coordinated way to protect and empower GBV victims/survivors, 2015,UNFPA, East European Institute for Reproductive Health

1.2 რატომ არის მულტისექტორული რეაგირება საჭირო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მულტისექტორული რეაგირება გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, გულისხმობს სხვადასხვა ინსტიტუციების, როგორიცაა: სამართალდამცავი სისტემის, ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სისტემის და ჯანმრთელოსბის დაცვის სისტემის, კოორდინირებულ თანამშრომლობას. აღნიშნული ინსტიტუციების გუნდური, კოორდინირებული მუშაობა აუმჯობესებს გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და დაზარალებულთათვის საჭირო, ხარისხიანი სერვისების მიწოდებას, ასევე უზრუნველყოფს სერვისის მიმწოდებლების ხარისხის დონეს და მულტისექტორული ჯგუფების წევრებისათვის ტრენინგ პროგრამების ხელმისაწვდომობას, რაც მათ კვალიფიკაციაზე და სამუშაოს შესრულებაზე აისახება.

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული რეაგირება საჭიროა იმდენას, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს:

1. გენდერზე დაფუძნებული ძალადობის მსხვერპლებისა და დაზარალებულთათვის მხარდამჭერი სერვისების ხელმისაწვდომობას.
2. ყველა საჭირო პროგრამაზე ინტეგრირებულ და ზომიერ ინტერვენციას.
3. ყველა ჩართული ინსტიტუციის/სტრუქტურის (სამართალდაცვა, ჯანდაცვა, ფსიქო სოციალური კეთილდღეობა) ანგარიშვალდებულებას და პასუხისმგებლობას ჩარევის ყველა დონეზე.
4. ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და აღკვეთისას უზრუნველყოფს კოორდინირებულ ქმედებებს.[3]

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული მიდგომა ყველა ინსტიტუციისთვის აწესებს საერთო ნორმებსა და სტანდარტებს, რომლის შესრულების შედეგადაც, მომსახურების მიმწოდებლებს საშუალება ეძლევათ მსხვერპლის/დაზარალებულის ინტერესები და საჭიროებები მაქსიმალურად

---

3. Multi-sectoral response to GBV, AN effective and coordinated way to protect and empower GBV victims/survivors, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health

დაიცვან, იყვნენ მიუკერძოებლები და სამართლიანები. მათი მომსახურება იყოს მსხვერპლზე/დაზარალებულზე ორიენტირებული.

1.3 გენდერზე დაფუძნებული ძალადობისას მულტისექტორული რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული რეაგირება ეფექტური რომ იყოს, საჭიროა იმ ძირითადი პრინციპების დადგენა და ჩამოყალიბება, რის მიხედვითაც ჩართული ინსტიტუციები/სტრუქტურები იხელმძღვანელებენ. ეს პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ჯანდაცვის სისტემისთვის და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის მომსახურებისთვის უნდა იყოს საერთო და მათ მიერ კარგად გააზრებული. ეს პრინციპები გულისხმობს:

1. მსხვერპლზე/დაზარალებულზე ორიენტირებულ მიდგომას - მულტისექტორულ რეაგირებაში ჩართული ყველა სერვისის მიმწოდებელი ორიენტირებული უნდა იყოს მსხვერპლის უფლებების, სურვილების, ინტერესების დაცვაზე, მსხვერპლის ღირსების პატივისცემაზე. რაც მსხვერპლს ეხმარება თავად განსაზღვროს საკუთარი საჭიროებები, პრიორიტეტები და მიიღოს გადაწყვეტილებები.
2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოებას - ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენისას, ან რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მსხვერპლის ან/და პოტენციური მსხვერპლის დასაცავად ყველა საჭირო ზომა უნდა იქნეს მიღებული და უნდა მოხდეს შესაბამისი ინსტიტუციების სათანადო რეაგირება.
3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მონაცემებისა და მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების კონფიდენციალობას - მნიშვნელოვანია მსხვერპლის კონფიდენციალობას პატივი სცეს მულტისექტორულ რეაგირებაში ჩართულმა ნებისმიერმა ინსტიტუციამ/სტრუქტურამ. ინფორმაციის სხვა ინსტიტუციისთვის/სტრუქტურისთვის გაზიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მსხვერპლის/დაზარალებულის შეთანხმების საფუძველზე და იმ შემთხვევაში თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

4. ინფორმირებული არჩევანს და გადაწყვეტილების მიღების უფლებას - გენდერული ნიშნით ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის გათვალისწინებული ნებისმიერი მომსახურება უნდა იყოს მსხვერპლთან/დაზარალებულთან შეთანხმებული. მას უნდა ჰქონდეს უფლება გააკეთოს არჩევანი და თავად მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.
5. არადისკრიმინაციულ მოპყრობას - სქესის, ასაკის, რასის, ეროვნების, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, განათლების და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლი და დაზარალებული იმსახურებს პატივისცემას და საჭირო მომსახურებებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას.

მულტისექტორული რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები ასევე გულისხმობს: პარტნიორობას; ინტეგრირებულ მომსახურებას, რომელიც ერთიან სამუშაო მეთოდოლოგიაზე იქნება დაფუძნებული; პრევენციას; შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მიმართ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას; მულტისექტორული რეაგირების ფუნდამენტური პრინციპების დაცვას და მათი შენარჩუნების უზრუნველყოფას.

1.4 მულტისექტორული რეაგირების ამოცანები

ფსიქო-სოციალური

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას მსხვერპლისათვის/დაზარალებულისთვის ფსიქო-სოციალური მომსახურების აღმოჩენა მულტისექტორული რეაგირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შეადგენს. ფსიქო-სოციალური მომსახურება გულისხმობს მომსახურებების ფართო სპექტრს, რომლებიც მიმართულია მსხვერპლის უფლებების დაცვისკენ, მისი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ. „მსხვერპლის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა გულისხმობს მსხვერპლის გაძლიერებას, რომელიც მოიცავს პირველ რიგში, მათ უსაფრთხო

გარემოში განთავსებას, საჭიროებათა შეფასებას, შეფასების საფუძველზე ინტერვენციის გეგმის შემუშავებას, გეგმის განხორციელებასა და კოორდინაციას, მსხვერპლთა სხვადასხვა მომსახურებაში გადამისამართებას, გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და მის გადასინჯვას საჭიროებისამებრ."[4]

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ფსიქო-სოციალური მომსახურება მიზნად ისახავს:

1. გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლებსა და დაზარალებულებს დაეხმაროს ეფექტურ იდენტიფიციერებაში.
2. უზრუნველყოს მსხვერპლის/დაზარალებულის უსაფრთხოება ინტერვენციის ყველა ეტაპზე.
3. უზრუნველყოს მომსახურების ხარისხი და თანმიმდევრულობა.
4. ხელი შეუწყოს მონაცემთა შეგროვებას, დოკუმენტირებას და მათ ანალიზს.
5. უზრუნველყოს მსხვერპლის კონფიდენციალობა.
6. ხელი შეუწყოს ქმედითი რეფერალის პროცესებს.
7. მსხვერპლებს/დაზარალებულებს ხელი შეუწყოს ფსიქო-სოციალური მომსახურების სხვა რესურსებთან დაკავშირებაში.[5]

ფსიქო-სოციალური მომსახურების ძირითადი მიზანი არის მსხვერპლს/დაზარალებულს დაეხმაროს დამოუკიდებლობის მოპოვებაში, დაეხმაროს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის დაბრუნებასა და მოპოვებაში. ფსიქო-სოციალური მომსახურება მოიცავს ქმედებებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს ეხმარება

---

4. ს. ნამიჭეიშვილი, სოციალური მუშაკის როლი ოჯახში ძალადობის სფეროში, კონცეფციის სამუშაო ვერსია, ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, მარტი, 2016 წელი
5. Psycho-social services provision, part of multi-sectoral response to GBV, Standard Operating Procedures, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health

სოციალურ რეინტეგრაციაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში, ტანჯვისა და მარტოობის განცდის შემსუბუქებაში და სოციალური დისტანციის შემცირებაში.

იმისათვის, რომ ფსიქო-სოციალური მომსახურება იყოს ეფექტური, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მომსახურების მიმწოდებელი ობიექტურად აფასებდეს მოვლენებს, იყოს ნეიტრალური და ჰქონდეს თანაგრძნობის განცდა. მომსახურების მიმწოდებელი არ უნდა განიცდიდეს გენდერზე დაფუძნებულ ძალადობაზე/ოჯახში ძალადობაზე, მსხვერპლებსა და მოძალადეებზე საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ზემოქმედებას.

სოციალური მუშაკის როლი

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების მიწოდებისას დიდი როლი ეკისრება სოციალურ მუშაკს. ძირითადად, სწორედ ფსიქო-სოციალური მომსახურების სფეროში არიან სოციალური მუშაკები დასაქმებულნი.[6]გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის სფეროში სოციალური მუშაობის და სოციალური მუშაკის ფუნქციაა ძალადობის მსხვერპლთა პრევენცია და დაცვა.

პრევენცია: ოჯახში ძალადობის პრევვენციის დროს მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკი დაეხმაროს მომსახურების მომხმარებლებს დროულად გაიაზრონ სიტუაცია, რომ ოჯახში ძალადობა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები დროულად აიცილონ თავიდან. „სოციალური მუშაკები განვითარებულ სისტემებში მონაწილეობენ ისეთი პროგრამებისა და მომსახურებების მიწოდებაში, როგორებიცაა, მაგალითად: ქალების გაძლიერება; მშობლების განათლება და აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების სწავლება; დახმარება სტრესის და სიბრაზის მართვაში; კონსულტირება და ა.შ.“[7]

---

6. ს. ნამიჭეიშვილი, სოციალური მუშაკის როლი ოჯახში ძალადობის სფეროში, კონცეფციის სამუშაო ვერსია, ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, მარტი, 2016 წელი
7. ნ. ფარცხალაძე, სოციალური მუშაობის როლი ოჯახში ძალადობის სფეროში, კონცეფციის სამუშაო ვერსია, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2014 წელი

დაცვა: დაცვის ეტაპზე სოციალური მუშაკები მსხვერპლებთან/დაზარალებულებთან და ასევე მოძალადეებთან მუშაობენ პრობლემების გამო დაქვეითებული ფუნქციონირების გაუმჯობესებაში, რათა ეს პრობლემები შემცირდეს და აღმოიფხვრას. სოციალური მუშაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია-მოვალეობაა სოციალური ადვოკატირება, რის ფარგლებშიც ისინი მხარს უჭერენ და მართავენ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარების პროცესს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ინსტიტუციებთან/სტრუქტურებთან და პროფესიონალებთან თანამშრომლობაში. მსხვერპლთა დაცვის მიზნით უნდა ფუნქციონირებდეს/არსებობდეს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: მსხვერპლთათვის განკუთვნილი კრიზისული ცენტრი, თავშესაფარი, გადამზადება და დასაქმება, ნივთიერებებზე დამოკიდებულების მკურნალობა და ა. შ.

ზოგადად, „ოჯახში ძალადობის დროს სოციალური მუშაკის როლია, გააძლიეროს ოჯახის წევრები, რათა მათ დამოუკიდებლად და არაძალადობრივი მეთოდებით მოაგვარონ ოჯახური პრობლემები და გაიუმჯობესონ ცხოვრების ხარისხი. სოციალური მუშაკის, როგორც უფლებადამცველი პროფესიონალის, საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი არის, ოჯახში ძალადობაგანცდილი პირების გაძლიერება, რათა მათ მოიპოვონ კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, მათი უფლებების ადვოკატირება და, შესაბამისად, მათთვის არა მსხვერპლის, არამედ „აქტიური გადარჩენილის“ მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა.“[8]

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფსიქო სოციალური მომსახურების გაწევისას სოციალურმა მუშაკმა უნდა განახორციელოს შემდეგი პროცედურები:

1. მსხვერპლის იდენტიფიცირება
2. შეფასება
3. ინტერვენცია

---

8. ს. ნამიჭეიშვილი, სოციალური მუშაკის როლი ოჯახში ძალადობის სფეროში, კონცეფციის სამუშაო ვერსია, ოჯახშ ძალადობის შემცირების პროექტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

4. დოკუმენტირება
5. რეფერირება

აქვე აღვნიშნავ, რომ გენდერზე დაფუძნებული ძალადობისას მულტისექტორულ რეაგირებაში ჩართული ყველა ინსტიტუციისთვის (სამართალდაცვა, ჯანდაცვა, ფსიქო-სოციალური მომსახურება), ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროცედურის განხორციელება არის აუცილებელი, რათა მოხდეს გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის პრევენცია, განსახორციელებელი ღონისძიებები მაქსიმალურად მიმართული იყოს მსხვერპლის დასახმარებლად და ითვალისწინებდეს მსხვერპლის/დაზარალებულის ინტერესებს, და ასევე მულტისექტორული რეაგირების პროცესში სხვადასხვა ინსტიტუციის თანამშრომლობა იყოს ეფექტური.

ჯანდაცვის მომსახურების ამოცანები

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას მსხვერპლისათვის ჯანდაცვის მომსახურების გაწევა მულტისექტორული რეაგირების კიდევ ერთ კომპონენტს წარმოადგენს. ჯანმრთელობის დაცვის სისტემას და ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის იდენტიფიკაციის, შეფასების, მკურნნალობის, დოკუმენტირების, რეფერირების პროცესში.

ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიმწოდებელი პასუხისმგებელია:[9]

1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს აღმოუჩინოს პირველადი დახმარება და მხარდაჭერა.
2. იზრუნოს დაზიანებების მკურნალობასა და სხვა სასწრაფო სამედიცინო საჭიროებებზე.
3. უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის ფაქტის შემოწმება და შესაბამისი მკურნალობა.

---

9. Health care services provision, part of multi-sectoral response to GBV, Standard Operating Procedures, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health

4. შეაფასოს პაციენტის (მსხვერპლის/დაზარალებულის) მენტალური ჯანმრთელობა.
5. უზრუნველყოს სტრესის მენეჯმენტი.

იმისათვის, რომ მულტისექტორული რეაგირება იყოს ეფექტური, საჭიროა, ამ პროცესში ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიმწოდებლები აქტიურად და ხარისხიანად იყვნენ ჩართულნი. ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიმწოდებლებმა აუცილებელია იცოდნენ და ყურადღება მიაქციონ ისეთ კლინიკურ ნიშნებს ან ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს, როგორებიცაა: პაციენტის სხეულზე მრავალჯერადი, აუხსნელი და სიმეტრიული დაზიანებების ქონა; პაციენტის მკლავებზე ან/და სახეზე სისხლჩაქცევების, ჭრილობების და სხვადასხვა ხარისხის დამწვრობების ქონა; აუხსნელი ქრონიკული ტკივილები; კუჭ-ნაწლავის ქრონიკული პრობლემები; სექსუალური დისფუნქცია; ცენტრალური ნერვული სისტემის პრობლემები - თავის ტკივილები, შემეცნების პრობლემები, სმენის პრობლემები; დეპრესიის, შფოთვის, ძილის დარღვევის სიმპტომები და ა. შ. მნიშვნელოვანია, მომსახურების მიმწოდებელი, ექიმი, დააკვირდეს პაციენტის ისეთ ქცევებს, როგორიცაა დანიშნული მკურნალობის შეუსრულებლობა; ექიმთან კონსულტაციისას სხვა პირის (ქმრის/პარტნიორის) უნებართვო, გაუთვალისწინებელი ჩარევა, რაც გავლენას ახდენს პაციენტზე. აუცილებელია მომსახურების მიმწოდებელი ასეთ შემთხვევაში დაინტერესდეს და დააკვირდეს, რით არის (ქმრის/პარტნიორის) ასეთი ქცევა განპირობებული, რა მოტივი ამძრავებს მას ჩარევისას.

ხშირ შემთხვევაში, გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები ცდილობენ ტანსაცმლით ან სხვა საშუალებით დამალონ ფიზიკური ძალადობის ხილული ნიშნები. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლები სხეულის დაზიანებებს სხვადასხვა საგნებს ან შემთხვევით, გაუთვალისწინებელ მოქმედებებს აბრალებენ, მაგალითად: „მოულოდნელად კიბეზე ფეხი დამიცურდა და დავვარდი“. ეს „გამართლება“ რა თქმა უნდა არალოგიკური და შეუსაბამო შეიძლება იყოს სხეულის გარკვეული სახის დაზიანებებთან. ამიტომ, საჭიროა ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლები და ამ შემთხვევაში ექიმები პროფესიონალურ დონეზე ფლობდნენ გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის

მსხვერლებთნ/დაზარალებულებთან ურთიერთობის, მათთვის შესაბამისი დახმარბის აღმოჩენის თავისებურებებს და სპეციფიკას.

აქვე უნდა აღვნიშნო ის მოცემულობა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემა არ გულისხმობს მხოლოდ ექიმის მომსახურებას. ამ სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სოციალური მუშაობის სამსახური. სოციალური მუშაობის და სოციალური მუშაკის როლზე, გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის პრობლემასთან საბრძოლველად და მის დასაძლევად, უკვე ვისაუბრეთ.

ჯანდაცვის სისტემის (ექიმის) ფუნქციები გენდერზე დაფუძნებული ძალადობისას

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლების გამოვლენისა და იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებს, კერძოდ ექიმებს, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. ექიმები წარმოადგენენ მულტისექტორული რეაგირების იმ რგოლს, რომლებსაც მომსახურების მომხმარებლები, პაციენტები ყველაზე ხშირად, საჭიროების შემთხვევაში თავის ინიციატივით მიმართავენ. ექიმის, როგორც ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლის როლია, გარდა იმისა, რომ პირველ რიგში უზრუნველყოს პაციენტის სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილება, ასევე მოახდინოს მსხვერპლის იდენტიფიკაცია, შეფასება და ინტერვენციის ეტაპზე განახორციელოს პირველი რიგის მხარდაჭერა. ესენია:

1. პრაქტიკული დახმარების გაწევა და მხარდაჭერა, რომელიც შეესაბამება მსხვერპლის საჭიროებებს.
2. პაციენტისმიერ მოყოლილი ძალადობის ისტორიის (შემთხვევის) ყურადღებით მოსმენა.
3. პაციენტისთვის/მსხვერპლისთვის ინფორმაციის მიწოდება სხვა რესურსების არსებობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს მსხვერპლისთვის.
4. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.
5. სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

6. კონფიდენციალობის დაცვა. ასევე მსხვერპლისთვის/პაციენტისთვის იმის განმარტება, რომ ექიმი ვალდებულია შემთხვევის შესახებ აცნობოს სხვა ჩართულ ინსტიტუციებს, თუ ძალადობრივი ქმედება გავლენას ახდენს ბავშვზე.

სამართალდამცავი სისტემის ამოცანები

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას მულტისექტორული რეაგირების კიდევ ერთი შემადგენელი ინსტიტუცია არის სამართალდამცავი სისტემა. ხშირად მსხვერპლები/დაზარალებულები პოლიციელებთან პირველადი ურთიერთობის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას, გააგრძელებენ თუ არა სისტემასთან ურთიერთობას. სტანდარტული ოპერაციული პროცედურები აღწერს გენდერზე დაფუძნებული ძალადობის შემთხვევებზე პოლიციის ჩარევის სპეციფიკას. როგორც მულტისექტორული რეაგირების შემადგენელი ორი ინსტიტუციის, ფსიქო-სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის სისტემის სამუშაო სპეციფიკა, ასევე სამართალდამცავი სისტემის, პოლიციის მუშაობის სპეციფიკაც გულისხმობს, შემდეგ პროცედურებს:

1. მსხვერპლის/დაზარალებულის იდენტიფიკაცია.
2. მსხვერპლის/დაზარალებულის უსაფრთხოების გაზრდა, ინტერვენციის ყველა ეტაპზე.
3. ხარისხიანი მომსახურების მიწოდებასა და თანმიმდევრულობას.
4. დოკუმენტირებასა და მონაცემთა შეგროვებას.
5. კონფიდენციალობის უზრუნველყოფას.
6. ეფექტურ რეფერირებას.

პოლიციის როლი

გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას პოლიციის, როგორც სამართალდამცავი სტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და მოვალეობა არის, სწორად, მყისიერად და ეფექტურად მოახდინოს რეაგირება. ოჯახში

ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს აღმოუჩინოს სათანადო დახმარება და მიმართოს ყველა შესაძლო ღონისძიებას, რათა დაიცვას მსხვერპლის/დაზარალებულის და ბავშვების უსაფრთხოება, რომლებიც ახლავს მსხვერპლს. უზრუნველყოს ისინი უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი, სადაც მათი ფსიქოლოგიური და ემოციური კეთილდღეობისთვის განახორციელებენ შესაფერის ქმედებებს.

სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის უმნიშვნელოვანესი როლია სწრაფად შეაფასოს სიტუაცია, და მოძალადის ქმედება ყველა საჭირო ღონისძებით და კანონის ძალით აღმოფხვრას. ისევე როგორც ყველა ინსტიტუციის წარმომადგენელი, ასევე პოლიციის ოფიცრები ვალდებულები არიან თავიანთი საქმე შეასრულონ პირნათლად, არ იყვნენ მიკერძოებულნი, და იხელმძღვანელონ იმ ფუნდამენტური პრინციპებითა და წესებით, რომლებიც მულტისექტორული რეაგირების ფარგლებში შემუშავდა და ყველა ინსტიტუციისთვის არის საერთო.

თავი 2. ოჯახში ძალადობა

2.1. რა არის ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა საკმაოდ რთული და სპეციფიკური პრობლემაა, რომლის წინააღმდეგაც მსოფლიოს მასშტაბით ილაშქრებენ და სხვადასხვა მექანიზმებით ცდილობენ მის დაძლევას.

ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი სერიოზული ფორმაა. მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ძალისხმევით, ოჯახში ძალადობა და გენდერზე დაფუძნებული ძალადობა დანაშაულად იქნა აღიარებული და ის კანონით ისჯება. ამის დამადასტურებელი მაგალითია სტამბულის კონვენცია, რომელიც უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სტამბულის კონვენცია აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის და დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი მიზნად ისახავს ასეთი ძალადობისთვის ნულოვანი ტოლერანტობის არსებობას.“ სტამბულის კონვენცია ახდენს ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების კრიმინალიზაციას.[10]

აქვე უნდა აღვნიშნო სტამბულის კონვენციის შესახებ. 2011 წლის 7 აპრილს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, რომელსაც 2011 წლის 11 მაისს სტამბულში მოეწერა ხელი. ევროსაბჭოს კონვენცია არის ევროპაში პირველი ლეგალურად მავალდებულებელი დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევისაკენ. მისი მიღება მოჰყვა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ჩატარებულ კამპანიას, რომელმაც გამოავლინა, რომ საჭირო იყო საერთაშორისო სტანდარტების შექმნა, ძალადობის დაძლევისა და მსხვერპლთა დაცვის შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად.[11]

---

10. სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, სტამბულის კონვენცია
11. ნ. ჭაბუკიანი, გ. ჯიბლაძე, ნ. უბილავა, საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, ქალთა ფონდი საქართველოში, თბილისი, 2014

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობა, რაც გულისხმობს: „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.“[12]ამავე კანონის მე-3 პრიმა მუხლი კი განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობას, რომელიც გულისხმობს: „საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისათვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თვისუფლების თვითნებური აღკვეთა.“[13]

2.2. ოჯახში ძალადობის არსი

კვლევები ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობა ნებისმიერი ქვეყნისთვის, საზოგადოებისა და კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენია. ოჯახში ძალადობის პრობლემა არ ახასიათებს მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ან/და განათლების დაბალი დონით ხასიათდება. ოჯახში ძალადობა ერთნაირად ეხება საზოგადოების განათლებულ და განვითარებულ ნაწილსაც. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება საზოგადოების ნებისმიერი წევრი გახდეს, მიუხედავად მისი ეკონომიკური მდგომარეობისა, განათლებისა, სოციალური სტატუსისა, ასაკისა და ა.შ. ოჯახში ძალადობის გამომწვევი უამრავი მიზეზი და ფაქტორი შეიძლება

---

12. ტრენინგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის თანამშრომლებისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, სამუშაო მასალები, 2018 წელი, საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი N 2697

13. ტრენინგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის თანამშრომლებისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, სამუშაო მასალები, 2018 წელი, საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი N 762

არსებობდეს, რომლებზედაც შემდეგ თავში ვისაუბრებთ, მაგრამ გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ოჯახში ძალადობის გამომწვევი არცერთი მიზეზი არ ამართლებს ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობრივ ქცევას.

ოჯახში ძალადობა მრავალმხრივი, მრავალგანზომილებიანი პრობლემაა, რომელიც ასევე მოიცავს ამა თუ იმ ქვეყნის და საზოგადოების კულტურას, ტრადიციებს და ადათ-ჩვევებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ საზოგადოებაში ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა მათი კულტურით და ტრადიციით არის გამართლებული. მაგალითად, ზოგიერთ საზოგადოებაში ქმრის მოღალატე ქალი საჯაროდ შეიძლება დაისაჯოს და ეს ამ საზოგადოების ტრადიციული და მრავალწლოვანი ქცევით შესაძლოა გამართლდეს. ასეთ საზოგადოებებში ჩამოყალიბებული „ტრადიციები“ ქმნის სწორედ არასწორ შეხედულებებს, სტერეოტიპებსა და გენდერულ როლებს.

ყურადღებას გავამახვილებ გენდერულ როლებზე, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემას. „ევროპის კონვენციის მიდედვით, ოჯახში ძალადობის მიზეზი არის საზოგადოების სტრუქტურაში არსებული გენდერული უთანასწორობა, კერძოდ ქალის დაქვემდებარებული როლი საზოგადოებაში. (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011) ხოლო 1993 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიღებულ დეკლარაციაში „დეკლარაცია ქალთა ძალადობის წინააღმდეგ“ (DEVAW) ნათქვამია: „ისტორიულად, ძალადობა ქალის მიმართ, ქალსა და მამაკაცს შორის არსებული არათანაბარი ურთიერთობების მანიფესტაციაა. ამგვარი ურთიერთობის შედეგია კაცის მხრიდან ქალზე დომინირება და მისი დისკრიმინაცია.“[14]

ოჯახში ძალადობის ფენომენზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ოჯახში ძალადობის ფორმები. ეს ფორმები ასევე ერთ-ერთი ფაქტორია იმისა, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემა მრავალმხრივი და კომპლექსურია. ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის შემდეგი ფორმები შეიძლება არსებობდეს: ფიზიკური ძალადობა,

---

14. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, საბოლოო ანგარიში, მკვლევართა ჯგუფი: მ. ჩიტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ლ. არუთინოვი, ს. ჩაჩანიძე, თბილისი, 2010

ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა და იძულება. თითოეული ფორმა შეიძლება განხორციელებული იყოს ქალის წინააღმდეგ ერთად, ან ცალ-ცალკე. თითოეული ეს ფორმა განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობაში და ისჯება კანონით. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში განმარტებულია, რომ:[15]

1. **ფიზიკური ძალადობა** - არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანკვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.
2. **ფსიქოლოგიური ძალადობა** - არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.
3. **სექსუალური ძალადობა** - არის სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.
4. **ეკონომიკური ძალადობა** - არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.
5. **იძულება** - არის ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება

15. ტრენინგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის თანამშრომლებისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, სამუშაო მასალები, 2018 წელი

მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

2.3. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია. არსებობს ძალიან ბევრი მიზეზი, რომლებიც ერთმანეთს ეჯაჭვება, ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და შედეგად ვიღებთ ოჯახში ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობას. ოჯახში ძალადობის/ქალთა მიმართ ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორები და მიზეზები შეიძლება იყოს: აღზრდა; გარემო, სადაც ბავშვი იზრდება, არის ეს გარემო ძალადობრივი თუ ნორმალური; საზოგადოება; სოციუმი, რომელიც ბავშვის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს; დიდი როლი ეკისრება სკოლას და საგანმანათლებლო სისტემას; ოჯახში ძალადობის განმაპირობებელ ფაქტორებად სახელდება ასევე: კულტურა, ტრადიციები, მენტალობა და ა.შ. ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენს ოჯახის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობა; რწმენა, რომ დასაბამიდან ქალი მამაკაცის მორჩილი უნდა იყოს; ნივთიერებებზე დამოკიდებულება (ალკოჰოლი, ნარკოტიკები და სხვა) ერთ-ერთი მიზეზთაგანია, რომელიც იწვევს ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების პროვოცირებას. მოძალადეები ხშირ შემთხვევაში თავს ამით იმართლებენ, და მათ მიერ განხორციელებულ ძალადობრივ ქცევას მავნე ნივთიერებების გავლენას აბრალებენ. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, შეიძლება დავყოთ **კულტურულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ მიზეზებად.** ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ ქალთა მიმართ ძალადობის კულტურული, ეკონომიკური ფაქტორები, რაც შეეხება ოჯახში ძალადობის სამართლებრივ მიზეზებს, ეს გახლავთ - დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით აღიარებული ქალის ნაკლები სამართლებრივი

სტატუსი. ხოლო პოლიტიკურ მიზეზებად განიხილება - ქალების ნაკლები წარმომადგენლობა ხელისუფლებაში, პოლიტიკაში, სამართალდამცავ ორგანოებში.[16]

ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლები/დაზარალებულები უარს ამბობენ მოძალადის დასჯაზე, შესაბამისი უწყებების მხრიდან რელევანტური ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც მიმართული იქნება ძალადობრივი ქცევის აღსაკვეთად. ხშირად, მაშინაც კი, როდესაც სახეზე აშკარა ძალადობის ნიშნებია, სამართალდამცავი და სხვა შესაბამისი ინსტიტუციები უძლურები არიან იმოქმედონ კანონის ფარგლებში, რადგან ამის შესაძლებლობას თავად მსხვერპლი არ აძლევთ. ხშირად, მსხვერპლი პოლიციის თანამშრომლებს „მტრად" აღიქვამს, რომელმაც შესაძლოა თავისი ოჯახის წევრი და საყვარელი ადამიანი (მოძალადე) დააკავოს. ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ შეიძლება არ განაცხადონ მსხვერპლებმა ძალადობის შესახებ. ასეთებია:

1. მსხვერპლის შიში, რომ მოძალადე არ დაისჯება - დასჯის უშედეგობა,
2. უნდობლობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ
3. კულტურული ტრადიციები - რწმენა, რომ ოჯახში ძალადობის გასაჯაროება სირცხვილია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზებიმრავალნაირი შეიძლება იყოს, რომელსაც ხშირად ძალადობის მსხვერპლითავს ვერ აღწევს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლები არ ტოვებენ ძალადობრივ გარემოს და რჩებიან მოძალადე მამაკაცთან. ასეთი ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები კი შეიძლება იყოს: **სიტუაციური ფაქტორები, ემოციური ფაქტორები და პირადი მოსაზრებები.** თითოეული ფაქტორი დიდ ყურადღებას და შესწავლას მოითხოვს, რომ მსხვერპლის ქცევა გასაგები გახდეს მომსახურების მიმწოდებლისათვის, სწორად შეაფასოს სიტუაცია და მისი ინტერვენცია იყოს არა მსხვერპლის დადანაშაულებისკენ ორიენტირებული, არამედ ამ ფაქტორების აღმოფხვრისკენ მიმართული

---

16. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის, სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით", თბილისი, 2012 წელი

2.4. ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული თეორიები

მსოფლიოს მასშტაბით, ოჯახში ძალადობის საკითხის აქტიური განხილვა და მის წინააღმდეგ გალაშქრება, მე-20 საუკუნის ბოლოდან დაიწყო. ოჯახში ძალადობის სპეციფიკიდან და მისი გამომწვევი მიზეზების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა თეორიები ოჯახში ძალადობის შესახებ, რომლებიც ასევე ამ პერიოდიდან იღებენ სათავეს.

პირველ რიგში აღსანიშნავია აშშ-ში, 1970-იან წლებში დაწყებული **ნაცემ ქალთა მოძრაობა,** რომელთა მიერ ჩამოყალიბებული თეორია ეფუძნებოდა **ფსიქოპათოლოგიას**. ეს თეორია მამაკაცებს, რომლებიც ცოლების მიმართ ფიზიკურ ძალადობას ახორციელებდნენ, განიხილავდა როგორც ფსიქიკურად დაავადებულ პირებს და მათ წამლებით ან ფსიქიატრიული მკურნალობით ეხმარებოდნენ. იგივე ხდებოდა მსხვერპლი ქალების შემთხვევაშიც, ეს თეორია თავდაპირველად ნაცემ ქალებსაც ფსიქიატრიულ პაციენტებად განიხილავდა. თუმცა, დადგინდა, რომ მოძალადეთა ქცევა და ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის ქცევა საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისგან. მოძალადეები ძალადობრივ ქმედებას ახორციელებენ და თავს ესხმიან თავიანთ უახლოეს ადამიანს, ცოლს ან პარტნიორს. ფსიქიკურად დაავადებულმა ადამიანმა კი ეს შეიძლება ნებისმიერი პირის მიმართ განახორციელოს. ასევე აღსანიშნავია, რომ ნაცემი ქალების ფსიქიკურად დაავადებულად აღიარება არასრულყოფილი კვლევების შედეგია, რადგან ეს კვლევები ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განათავსებული ქალების კვლევით შემოიფარგლებოდა.

„შესწავლილი ქცევის“ ძალადობის თეორია - გულისხმობს, რომ მამაკაცები იმიტომ სცემენ თავიანთ ცოლებს, რომ მათ მსგავსი ქცევა ბავშვობაში თავიანთ ოჯახში ისწავლეს. ქალები კი იმიტომ ხდებიან მსხვერპლნი და უკავშირდებიან მოძალადეებს, რომ მათაც ბავშვობაში ნანახი აქვთ ფიზიკურად როგორ ძალადობდა მამა დედაზე. კვლევები აჩვენებენ, რომ მამაკაცები, რომლებიც ძალადობრივ ოჯახში გაიზარდნენ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი თავიანთი ცოლების მიმართ ძალადობისკენ, თუმცა ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ძალადობის შემსწრე ბავშვი პირობას დებს, რომ არასდროს იძალადებს თავის მეუღლეზე. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადამიანები ინფორმაციას

საზოგადოებიდან იღებენ. არასწორმა სოციალურმა გარემომ, კულტურამ და ტრადიციამ შესაძლოა მამაკაცს ძალადობისკენ უბიძგოს, რადგან ამ გარემოში მიღებულია, რომ მამაკაცმა ქალი აკონტროლოს და ეს კონტროლი ძალადობრივი ქმედებით განახორციელოს. **„კონტროლის დაკარგვის“** თეორიის მიხედვით, მამაკაცები მაშინ ახორციელებენ ძალადობრივ ქმედებას, როდესაც ალკოჰოლის ან სხვა ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ არიან და სწორედ ნივთიერებების ზემოქმედება აკარგვინებს მათ კონტროლს საკუთარ თავზე და ქცევაზე. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოძალადის ბუნება და ქცევა გულისხმობს, რომ იგი განსაზღვრული ადამიანების მიმართ, სწორად შერჩეულ დროსა და ადგილას, განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით ძალადობს. მოძალადეს ახასიათებს, რომ პარტნიორზე ძალადობრივი ქცევა ყველასგან მალულად და ჩუმად განახორციელოს. ხშირად მოძალადეები განსაკუთრებული სიფრთხილით ცდილობენ რომ პარტნიორზე ფიზიკური ძალადობის ხილული ნიშნები არ დატოვონ. აღსანიშნავია ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენება - მუქარა, დამცირება, სიტყვიერი შეურაცხყოფა. ეს ყველაფერი ამტკიცებს, რომ მოძალადეები შესანიშნავად აკონტროლებენ თავიანთ ქცევას.

„შეცნობილი უმწეობის“ თეორია, რომელიც ამერიკელი ფსიქოლოგის, ლეონორ უოლკერის დაკვირვებებს ეყრდნობა, ამბობს, რომ ქალების გადაწყვეტილება ცხოვრება განაგრძონ მოძალადე მამაკაცებთან განპირობებულია იმით, რომ მათ აღარ შესწევთ მოძალადე მამაკაცებთან დაშორების ნებისყოფა. თუმცა, ეს თეორია არ ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მიზეზები, რის გამოც შესაძლოა ძალადობის მსხვერპლი ქალი ვერ ტოვებდეს მოძალადე მამაკაცს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ქალებს გონივრულად ეშინიათ, რომ დაშორება გამოიწვევს უარეს შედეგებს და მოძალადე მასაც და ბავშვსაც კიდევ უფრო მძიმე ფორმით გაუსწორდება. „შეცნობილი უმწეობის“ თეორია ამტკიცევს, რომ მსხვერპლი ქალები განიცდიან ისეთ საერთო ნიშან-თვისებებს, როგორიცაა, დაბალი თვითშეფასება, განმარტოებისკენ მიდრეკილება, კონტროლის დაკარგვა, თუმცა ეს ყველაფერი შესაძლოა გამოწვეული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის შედეგად. ძალადობის მსხვერპლი ქალები ხშირად ტოვებენ მოძალადე ქმრებს, რომ გამოხატონ ამ ფაქტის მიმართ

შეურიგებელი განწყობა. ქალები თავდაპირველად ცდილობენ მამაკაცთან მოლაპარაკებების გზით აღადგინონ არაძალადობრივი ურთიერთობა.

„შეცნობილი უმწეობის“ თეორიაზე დაყრდნობით განვითარდა ფსიქოპათოლოგია, რომლის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ „ქალები ძალადობრივ ურთიერთობაში რჩებოდნენ იმიტომ, რომ დაავადებულნი იყვნენ ხასიათის ანომალიით, რაც მათ უბიძგებდა, როგორც თვითგვემის საშუალება, მოეთმინათ შეურაცხმყოფელი ურთიერთობა.“

„ძალადობის ციკლის“ თეორია განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის ურთიერთობების განვითარებასა და დინამიკას. ამ თეორიის მიხედვით ოჯახში ძალადობის განვითარება რამდენიმე ციკლისა და ფაზისგან შედგება. ესენია: დაძაბულობის ზრდა, ძალადობის სერიოზული ინციდენტი და თაფლობის თვე.

დაძაბულობის ზრდა - ამ ფაზას ახასიათებს პარტნიორებს შორის დაძაბულობის ესკალაცია, სიტყვიერი შეურაცხყოფა და მცირე ფიზიკური შეხლა-შემოხლა. სერიოზული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ქალი ცდილობს პარტნიორის დამშვიდებას. მატულობს შიში და დაუცველობის განცდა. ეს ფაზა შეიძლება გაგრძელდეს რამოდენიმე თვე ან რამოდენიმე წელიც კი, სანამ დაძაბულობა პიკს არ მიაღწეევს და სერიოზული ინციდენტი არ მოხდება.

ძალადობის სერიოზული ინციდენტი - ეს ფაზა შეიძლება გაგრძელდეს 2-დან 24 საათამდე. ამ დროს ქალი ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს სიტუაციაზე. ის მხოლოდ უნდა შეეცადოს, რომ საკუთარი თავი და შვილები დაზიანებისგან დაიცვას. ასეთ დროს ქალების ქცევა განსხვავებულია, ზოგიერთი მაშინვე ტოვებს მოძალადე მამაკაცს, თუმცა ამან სერიოზული სულიერი ტრამვა შეიძლება მიაყენოს ქალს. ზოგიერთი ქალი მალავს ძალადობის ფაქტს და არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალი პატიობს ქმარს მიყენებულ შეურაცხყოფას იმ იმედით, რომ ფაქტი აღარასოდეს განმეორდება.

თაფლობის თვე - როდესაც მამაკაცი ითხოვს პატიებას და მეუღლეც პატიობს მას ძალადობის ფაქტს, საქმე გვაქვს თაფლობის თვის ფაზასთან. ამ დროს მამაკაცი „იდეალური პარტნიორი“ ხდება. მამაკაცის ქცევა ქალს არწმუნებს და ილუზიებს უქმნის, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება და ყველაფერი იდეალურად იქნება. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი იცვლება, ჩნდება დაძაბულობა და კონფლიქტები და ძალადობის ფაქტი კვლავ

ხდება. სწორედ ციკლურობა ახასიათებს ძალადობას. ძალადობის მრავალჯერ განმეორების შემთხვევაში ძალადობის ფორმები შესაძლოა უფრო და უფრო დამძიმდეს და პარტნიორების შერიგების ფაქტებიც შესაძლოა გაქრეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ფაზები თანმიმდევრულად და იმ სიზუსტითშესაძლოა არ განხორციელდეს და განსხვავებული იყოს ძალადობის პროცესი.

„ოჯახური/ურთიერთობის კონფლიქტის“ თეორია - მამაკაცსაც და ქალსაც დამნაშავედ მიიჩნევს ცოლ-ქმრული ურთიერთობისას წარმოშობილ ძალადობაში. რის მიხედვითაც, ძალადობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მხრიდან. ეს თეორია ასევე გულისხმობს, რომ ძალადობის პროვოცირებას ახდენს ქალი, ის იწყებს ქმართან ზღვარგადასულ კამათს, რაც განაპირობებს ქმრის ძალადობრივ ქცევას და ეს რეაქცია ითვლება ბუნებრივად. მსგავსი თეორიები, რომლის მიხედვითაც ძალადობრივი ქმედება პარტნიორის მხრიდან პროვოცირებაზე რეაქციაა, მსხვერპლის დადანაშაულების კიდევ ერთი ფორმაა. ეს თეორია არ ითვალისწინებს იმას, რომ მამაკაცმა შესაძლოა ძალადობრივი აქტი განახორციელოს სრულიად უმიზეზოდ, ან მაშინ როდესაც პარტნიორს სძინავს.

„ძალაუფლებისა და კონტროლის ციკლის“ თეორია გულისხმობს, რომ მოძალადე ყველანაირ ტაქტიკას და საშუალებას იყენებს იმისათვის, რომ დაამყაროს და შეინარჩუნოს პარტნიორზე ძალაუფლება და კონტროლი. ბავშვობაში ნანახი ფიზიკური ძალადობის ფაქტები ან ალკოჰოლზე და სხვა ნივთიერებებზე დამოკიდებულება შეიძლება იყოს ძალადობრივი ქცევის ხელშემწყობი ფაქტორები, მაგრამ არა ძალადობის მიზეზი. იმისათვის, რომ მოძალადემ მაქსიმალურად შეზღუდოს მსხვერპლის თავისუფლება და დაიმორჩილოს ის, აღნიშნულ დამოკიდებულებებსა და გამოცდილებას იყენებს ყველანაირად. აღნიშნული თეორიის თანახმად ძალადობა ბატონობისა და უთანასწორო ურთიერთობების შედეგია. ურთიერთობებს კი აყალიბებს საზოგადოებაში კარგად დამკვიდრებული წესები და ნორმები.“ზოგიერთ კულტურაში მამაკააცების მხრიდან ძალადობას საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები

შემწყნარებლურად ეკიდებიან. ეს ფაქტი კი განაპირობებს ქალების დაქვემდებარებული როლისა და უთანასწორო მდგომარეობის განმტკიცებას.“

2.5. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა

სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტის შექმნა, რაც, საერთო ჯამში, ხელს უშლის პრობლემის შეფასებას და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების/სერვისების დაგეგმვას და განხორციელებას.თუმცა გვაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული უახლესი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც ბოლო ექვსი თვის მონაცემებს, 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდს გულისხმობს, ნაჩვენებია, რომ:

ოჯახური ძალადობის ბრალდებით მიმდინარე ექვსი თვის განმავლობაში დაკავებულია 1328 პირი, გამოძიება დაიწყო ოჯახური დანაშაულის 2804 ფაქტზე, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია 1933 პირის მიმართ, რაც წინა წლის მთლიან მონაცემებს უტოლდება.

რაც შეეხება შემაკავებელ ორდერებს, 2018 წლის 6 თვეში გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა (3292) ორჯერ აღემატება მთელი 2017 წლის მონაცემს. დაბალიაშემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევის მაჩვენებელი, რაც მხოლოდ 7%-ს შეადგენს და ძირითადად “მიახლოების აკრძალვის” დარღვევაში გამოიხატება.

შინაგანსაქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ახორციელებს არამხოლოდ სისტემის გარეთ, არამედ თავად სისტემის შიგნითაც.

2018 წელს გენერალური ინსპექციის მიერ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების საფუძველზე, დისციპლინური სახდელი დაეკისრა პოლიციის 10 მოსამსახურეს. კერძოდ, ოჯახურ დანაშაულზე არასათანადო რეაგირების გამო დისციპლინური სახდელი დაეკისრა პოლიციის 4, ხოლო ოჯახური ძალადობის ჩადენის გამო 6 თანამშრომელს, რომელთაგან 3 დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებიდან.

რაც შეეხება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებს, 2018 წლის 6 თვეში დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ბრალდებით, დაკავებული იქნა 50-ზე მეტი პირი, რაც მთელი 2017 წლის მთლიან მონაცემს აღემატება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიურ მუშაობას, ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის პრევენციისა და დანაშაულის თითოეულ ფაქტზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით.“

2.6. სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობა, შეიძლება ითქვას, სიღრმისეულად არის განვითარებული. საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც სისხლის სამართლებრივ, ასევე სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ მექანიზმებს. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველო ითვალისწინებს საერთაშორისო რეკომენდაციებსა და ვალდებულებებს.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვეროლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში არსებობ მე-3 თავის მე-9 მუხლი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები“ რომლის მიხედვითაც განმარტებულია, რომ: 1. სისხლის სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. 2. სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით ასანაზღაურებლად. 3. ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი ორდერის/დამცავი ორდერის გამოცემით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევის ხასიათი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით. (საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი N 2507-სსმI,N 3,13.01.2010წ.,მუხ.4; საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი N 761 - ვებგვერდი, 25.05.2017წ.)

1. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“
2. 2013 წელს მომზადდა ცვლილებათა პაკეთი, რომელიც გულისხმობდა პასუხისმგებლობების გადანაწილებას ერთი უწყებიდან მეორეზე, აღნიშნული კანონპროექტი დამტკიცდა პარლამენტის მიერ.

   2013 წელს შემუშავდა ცვლილებათა ორი პაკეტი, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისი საბჭოს და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ინიციატივით, რომელიც გადაეცა საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად.
3. 2014 წელს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში შევიდა შესწორება, რომელიც ძალადობის მსხვერპლთა შემდგომ დაცვას უზრუნველყოფს. ცვლილების მიზეზი 2014 წელს დაფიქსირებული ფემიციდის მაღალი მაჩვენებელი გახდა. სწორედ ამის შედეგად კანონს დაემატა მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები.[17]
4. საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მიიღო.
5. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა

---

17. ბ. პატარაია, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, სოციალური მომსახურება- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაკარგული ნაწილი, პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, ივლისი, 2016 წელი

წევრის უფლების დაცვას. მასზე ზედამხედველობას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს.[18]

6. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოძალადისათვის შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოწერას, რაც ადმინისტრაციულ სამართველბრივი და ასევე სისხლის სამართლებრივი კოდექსით რეგულირდება.
7. სისხლის სამართლის კოდექსში აღსანიშნავია სპეციალური 126 პრიმა მუხლი, რომელიც ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლებრივ დეფინიციას განსაზღვრავს და ადგენს პასუხისმგებლობას ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ.
8. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც „ადგენს ქალისა და მამაკაცის კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს“. ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების შექმნა და ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.
9. 2017 წლის 1 ივნისიდან საქართველოს კანონმდებლობაში, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ბრძანებით, შევიდა ცვლილება „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და „პაციენტის უფლებების“ შესახებ, რომლის მიხედვითაც, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტის და ძალადობის განმეორების საშიშროების არსებობის შემთხვევაში, პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.[19]

---

18. მ. კუპრავა „არა-ოჯახში ძალადობას!“, ევროკავშირი საქართველოსთვის, The Associacion “Women of Multinational Georgia”, თბილისი, 2017
19. ტრენინგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის თანამშრომლებისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, სამუშაო მასალები, 2018 წელი

10. კანონი „ადვოკატთა შესახებ“, რომელიც გულისხმობს, რომ „პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმრთ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.“
11. მე-9 პრიმა მუხლის მიხედვით, კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ განსაზღვრავს სფეროებს, სადაც აუცილებელია სოციალური მომსახურება. ოჯახში ძალადობის შემთხვევათა დადგენაში განსაკუთრებული როლი აკისრია სოციალური მომსახურების სააგენტოს. ასევე აღსანიშნავია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია, რომელსაც ეკისრება ოჯახში ძალადობის პრევენცია.
12. საქართველოს კანონის მე-6 მუხლში საუბარია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელ მექანიზმებზე, როგორებიცაა: პრევენციული ღონისძიებების გატარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან, ან რომელთაც უკვე ჩაიდინეს ოჯახში ძალადობა. ჯანდაცვის სამინისტრო ასევე ვალდებულია განახორციელოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები ადამიანის უფლებეების, ძალადობისგან დაცვის გარანტიებისა და მოძალადეთა რეაბილიტაციის შესაძლებლობების თაობაზე.
13. 2011 წლის 7 აპრილს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, რომელსაც 2011 წლის 11 მაისს სტამბულში მოეწერა ხელი. ევროსაბჭოს კონვენცია მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევისაჯენ.
14. 1993 წლის ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვის შესახებ დეკლარაციის მე-4, (ვ) ქვეპუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ „შეიმუშაონ კომპლექსური, პრევენციული მიდგომები და ყველა სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ კულტურული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა დაცვას ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, და უზრუნველყონ, რომ ქალები ხელახლა არ გახდნენ ძალადობის მსხვვეროლნი იმის გამო, რომ კანონები არ

ითვალისწინებენ გენდერულ საკითხებს, აღსრულების პრაქტიკას ან სხვა ინტერვენციის საშუალებებს.“[20]

15. რეზოლუცია 1512 ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად გაერთიანებული პარლამენტები, 2006, 5.8 პუნქტით, სახელმწიფოებს მოუწოდებენ საჭირო ქმედებები განახორციელონ ოჯახშ ძალადობის ეფექტურად და საჯაროდ დასამარცხებლად, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და მათი შვილებისათვის თავშესაფრის მიცემის უზრუნველყოფით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრების მოწყობით პოლიციის ნაწილებში, შესაბამისი თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარების გზით (ჯანდაცვის, პოლიციის, მართლმსაჯულების, სოციალური და საინფორმაციო სამსახურების და სხვა სფეროს მუშაკებს), მონაცემების დამუშავების ცენტრების მოწყობით მათთვის, ვინც პასუხისმგებელია ამგვარ ძალადობაზე და სტატისტიკის შეგროვებაზე, რომელიც დახარისხებული იქნება გენდერის, ძალადობის ტიპისა და დანაშაული ჩამდენსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის მიხედვით.[21]
16. ამავე რეზოლუციის 5.10 ქუნქტი კი ავალდებულებს სახელმწიფოებს წამოიწყონ ეროვნულ დონეზე ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და პრევენციის კამპანია და ჯანდაცვის სამსახურების თანამშრომლების დახმარებით გამოავლინონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი.[22]

ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის წინააღმდეგ მიღებული ყოველი კანონი, საკანონმდებლო ცვლილება და მასთან დაკავშირებული რეფორმები იმის დასტური და ნათელი მტკიცებულებაა, რომ ოჯახში ძალადობა არა მხოლოდ „ოჯახის საქმე“ და ორი ადამიანის პირადი ცხოვრებაა, არამედ ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ფაქტები/ინციდენტები საზოგადოების პრობლემა და დანაშაულია

---

20. საერთაშორისო და რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, Sida, UNDP, თბილისი, 2008
21. საერთაშორისო და რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, Sida, UNDP, თბილისი, 2008
22. საერთაშორისო და რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, Sida, UNDP, თბილისი, 2008

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია

3.1 კვლევის მიზანი და ძირითადი საკვლევი თემები

კვლევისათვის, მულტისექტორული რეაგირება ოჯახში ძალადობის დასაძლევად - საერთაშორისო და ადგილობრივი პერსპექტივა, ჩატარდა თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, რომლითაც ვიხელმძღვანელეთ ექსპერტული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარების პროცესში. თვისებრივი კვლევისათვის მოვახდინეთ დოკუმენტების ანალიზი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორი უნდა იყოს მულტისექტორული რეაგირება, რომ ოჯახში ძალადობის დაძლევა იყოს ეფექტური. კვლევის მიზნის დასასაბუთებლად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს ოჯახში ძალადობა.
2. გარკვევა იმისა, თუ როგორ ხორციელდება მრავალსექტორული თანამშრომლობა.
3. მულტისექტორული რეაგირების საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა.

3.2 თვისებრივი კომპონენტის მიზნები და შერჩევა

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ მონაცემებისა და დოკუმენტების შეკრება, ასევე იმ რეკომენდაციებისა და კანონმდებლობის გაცნობა, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მსოფლიოში არის აღიარებული. ასევე საქართველოს კანონმდებლობაში გატარებული ღონისძიებების, რეფორმებისა და ცვლილებების შესწავლა, რომლებიც შემუშავდა და განხორციელდა ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მულტისექტორული რეაგირებისათვის საჭირო და აუცილებელი რეკომენდაციების გაცნობა და საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართება.

თვისებრივი კვლევისათვის შემუშავდა კითხვარები, როგორც ექსპერტული ინტერვიუებისათვის, ასევე ფოკუს ჯგუფებისათვის. კითხვები დაჯგუფდა შემდეგ თემებად:

1. ძალადობის აღქმა და განმარტება. (ზოგადი ნაწილი)
2. ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობა.
3. სხვადასხვა ინსტიტუციების როლი მულტისექტორული რეაგირების პროცესში.

თვისებრივი კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენს, ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა შეხედულებების, სამუშაო პრაქტიკის, გამოცდილებისა და შეფასებების გაცნობა მულტისექტორული რეაგირების ეფექტურად განხორციელების საკითხებზე. მნიშვნელოვანია მათი შეფასების და ხედვის გაზიარება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული მომსახურებებისა და ასევე სამომავლოდ განსახორციელებელი და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შესახებ, მათი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის ერთობლივი თანამშრომლობა, რომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა ეფექტურად დაძლიოს.

ფოკუს ჯგუფების ჩატარება მიზნად ისახავდა, უშუალოდ პრაქტიკოსი მომსახურების მიმწოდებლების მუშაობის პრინციპებისა და მათი სამუშაო გამოცდიდლების გაცნობას. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია თავად მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ გენდერზე დაფუძნებული ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან, როგორ ესმით ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის არსი და სპეციფიკა. ასევე მნიშვნელოვანია მათგან იმის გაგება, საჭიროებენ თუ არა მულტისექტორულ ჩართულობას, რამდენად ესაჭიროებათ თავიანთი მომსახურების გაწევისას სხვა სტრუქტურის ჩარევა და დახმარება, როდესაც საქმე ქალთა მიმართ ძალადობას/ოჯახში ძალადობას ეხება. როგორ ხორციელდება სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობა ამ ეტაპზე.

3.2.1.მეთოდები

თვისებრივი კომპონენტი გულისხმობდა შემდეგი თვისებრივი მეთოდების გამოყენებას, კერძოდ, ა) დოკუმენტების ანალიზი, რომლის დროსაც გავაანალიზეთ ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის წინააღმდეგ არსებული პოლიტიკა, აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად მულტისექტორული რეაგირების

ეფექტური გზების დადგენა, გავაანალიზეთ საკანონმდებლო დოკუმენტები, ანგარიშები, რეგულაციები და სხვა დოკუმენტები. ბ) ფოკუს ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა მულტისექტორული რეაგირების გუნდის წარმომადგენლებთან, კერძოდ: პოლიციელებთან, ექიმებთან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, სოციალურ მუშაკებთან. გ) ექსპერტული ინტერვიუები, რომლებიც ჩატარდა სფეროს ექსპერტებთან.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შევქმენით ექსპერტული ინტერვიუებისათვის ნახევრად სტრუქტურირებული კითხვაი, ხოლო ფოკუს ჯგუფებისათვის სადისკუსიო გეგმა, რომლებიც შევიმუშავეთ დოკუმენტების ანალიზის პროცესში შესწავლილი დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე.

3.2.2.მონაწილეები და შერჩევა

თვისებრივი კვლევის კომპონენტის გამოყენებით, ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი და ათი ექსპერტული ინტერვიუ. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა პოლიციელებთან, ექიმებთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, თავშესაფრის ადმინისტრატორი, თავშესაფარში მომუშავე პერსონალი, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ, როგორც ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის მსხვერპლებთან და დაზარალებულებთან, ასევე სხვადასხვა ინსტიტუციის წარმომადგენლებთან. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო ექვსმა რესპოდენტმა. პოლიციელებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პოლიციელმა, ექიმებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო ექვსმა ექიმმა. ექიმების ჯგუფს წარმოადგენდნენ ოჯახის ექიმები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები. სოციალურ მუშაკებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა ხუთ რესპოდენტს. საერთო ჯამში ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 22-მა რესპოდენტმა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებმა. გამოკითხულ იქნა 10 ექსპერტი, რომლებიც

მიზნობრივად შეირჩნენ ოჯახში ძალადობის სფეროდან. ექსპერტები იყვნენ პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები. ექსპერტები წარმოადგენდნენ შემდეგ უწყებებს: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სოციალური მომსახურების სააგენტო; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; შინაგან საქმეთა სამინისტრო; განათლების და მეცნიერების სამინისტრო.

აღნიშნული უწყებების წარმომადგენლებით, შევეცადეთ დაგვეფარა ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის სფეროში მომუშავე და აქტიურად ჩართული ძირითადი ექსპერტები.

3.2.3.ინსტრუქციები და კვლევის ეთიკა

კვლევის მონაწილეები ინფორმირებულნი იყვნენ კვლევის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე პირებს განემარტათ, რომ დაცული იქნებოდა მათი კონფიდენციალობა და არ მოხდებოდა მათი პასუხების იდენტიფიცირება მათ პიროვნებებთან. ექსპერტული ინტერვიუების პროცესში, ექსპერტებთან შევათანხმეთ კვლევის ინსტრუმენტები და პროტოკოლები, რაც კვლევის ხარისხსა და სანდოობას უზრუნველყოფდა.

3.2.4.კვლევის შეზღუდვები

კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები შემდეგია: ა) კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის მსხვერპლებთან და დაზარალებულებთან ინტერვიუების ჩატარება, მათი კვლევაში მონაწილეობა. ბ) ფოკუს ჯგუფები ჩატარდა მხოლოდ თბილისში მომუშავე, სხვადასხვა

ინსტიტუციების (პოლიციელები, ექიმები, ა/ო-ს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები) წარმომადგენლებთან, ეკონომიკური და დროითი რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარე.

3.2.5.სამუშაოს შესრულების პრინციპი

აღნიშნული კვლევა ჩატარებულია თეონა კუპატაძისა და ეთერ ნებიერიძის მიერ. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები თანაბრად იქნა გადანაწილებული ჩვენს მიერ. თანაბარი წვლილი მიგვიძღვის ლიტერატურის გაცნობასა და გაანალიზების პროცესში. ინგლისურენოვანი მასალა განხილულ იქნა ეთერ ნებიერიძის მიერ, ხოლო ქართულენოვან მასალებს ორივე სტუდენტი, თეონა კუპატაძე და ეთერ ნებიერიძე თანაბარი ჩართულობითა და აქტივობით გავეცანით. რაც შეეხება ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარებისა და გაანალიზების პროცესს, ფოკუს ჯგუფები ჩატარებულ იქნა თეონა კუპატაძის მიერ, შესაბამისად, ფოკუს ჯგუფების ანალიზი თეონა კუპატაძეს მიეკუთვნება, ხოლო ექსპერტული ინტერვიუები ჩატარებულ იქნა ეთერ ნებიერიძის მიერ. ექსპერტული ინტერვიუების ანალიზზე, შესაბამისად, იმუშავა მან.

თავი 4. კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და ანალიზი

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განხილულია ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ინტერვიუების შედეგები და ანალიზი, ხოლო მეორე ნაწილში განხილულია ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია და შედეგები. გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, მივიღეთ ორი სახის შედეგი, სუბიექტური და ობიექტური. ობიექტურ შედეგად მივიჩნიეთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კანონმდებლობის, ერთიანი სამოქმედო გეგმებისა და სხვა დოკუმენტების ანალიზი. სუბიექტურ შედეგებად კი განვიხილეთ კონკრეტული პირების, ექსპერტების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ინსტიტუციების წარმომადგენლების მოსაზრებები, ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. სუბიექტურ შედეგად ასევე განვიხილეთ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე პირთა დისკუსიის შედეგები

4.1 ოჯახში ძალადობის არსი - ექსპერტთა განმარტებები

გაანალიზებული მასალიდან გამოჩნდა, რომ ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები აღნიშნულ პრობლემას მიაკუთვნებენ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს. საქართველოს კანონმდებლობაც იმავეს გულისხმობს, კერძოდ, ოჯახში ძალადობა გულისხმობს „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.“ (მუხლი 3).

ექსპერტი იურიდიულ საკითხებში, გია გოგიბერიძე აღნიშნავს, რომ „ოჯახში ძალადობა ჩვენი კანონმდებლობიდან გამომდინარე გულისხმობს, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებების დარღვევას.“ მისი თქმით, „ჩვენი კანონმდებლობა პირდაპირ უკავშირებს ოჯახში ძალადობის მოვლენას ადამიანის უფლებების დარღვევას.“ იურისტი მანანა ფურცხვანიძე აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობისას, შესაძლოა ოჯახის ერთმა წევრმა განახორციელოს ძალადობის ყველა ფორმა ერთდროულად ან ერთი რომელიმე კონკრეტული. ძალადობის ფორმები კი შესაძლოა იყოს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, ან იძულება.

ექსპერტთა განმარტებებში, რომლებიც საკანონმდებლო ჩარჩოს ეფუძნება, არ არის ხაზგასმული და აღნიშნული, რომ ოჯახში ძალადობა შესაძლოა განპირობებული იყოს გენდერული უთანასწორობით.

საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები და კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ძირითადად ქალები არიან. UNFPA-ის დოკუმენტში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ კაცები და ბიჭები შეიძლება განიცდიდნენ გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ზემოქმედებას, ქალები და გოგონები უაღრესად მიზანმიმართულნი არიან ძალადობისა და შეურაცხყოფისაკენ. ისინი ძალადობის ფორმებს განიცდიან ყველაზე ხშირად და მძიმედ.“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით კი, მთელი ცხოვრების მანძილზე ქალთა დაახლოებით 70% განიცდის სხვადასხვა სახის ძალადობას.

ექსპერტები აღიარებენ, რომ ოჯახში ძალადობა სპეციფიკური და მრავალმხრივი მოვლენაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლასაც დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ არის მიღწეული 100%-იანი შედეგი, და ჩვენს ქვეყანასაც უფრო მეტი ღონისძიებების გატარება და მუშაობა სჭირდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ექსპერტთა აზრით, იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობა აღმოიფხვრას, მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების გატარება. ამ ბრძოლაში სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციის ჩართვა და ერთობლივი თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი კამპანია და საინფორმაციო ღონისძიებები იმართება საზოგადოებამდე ამ პრობლემის მნიშვნელობის მისატანად და გასაცნობიერებლად, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა და ჩართულობაა საჭირო, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავად საზოგადოების მხრიდანაც.

„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“-ს თავმჯდომარე, ნატო შავლაყაძე აღნიშნავს, რომ თუ კი სახელმწიფოს მხრიდან ყველა შესაბამისი სამინისტრო კომპლექსურად იმუშავებს ოჯახში ძალადობის/გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ერთობლივი, საერთო სტრატეგიის შემუშავებაზე, შედეგი უფრო მალე მიიღწევა.

4.2 ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი

კვლევის ფარგლებში განვიხილეთ ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები. დამუშავებულ დოკუმენტებში ერთი კონკრეტული მიზეზი არ გამოვლენილა. არსებული შეხედულებების მიხედვით, ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია. ექსპერტთა თქმით, მიზეზები შესაძლოა ბევრი იყოს და ერთმანეთზე მჭიდროდ იყოს გადაჯაჭვული. ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებს შორის შესაძლებელია იყოს ეკონომიკური მიზეზი, სოციალური მდგომარეობა, კულტურული გარემო. მნიშვნელოვანია აღზრდის საკითხი. ის, თუ როგორ გარემოში იზრდება ბავშვი, განათლების დონე, საზოგადოებისა და სოციუმის გავლენა. ექსპერტები აღნიშნავენ: მიუხედავად იმისა, რომ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განათლების დაბალი დონე ოჯახში ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად ითვლება, შესაძლოა ეს ფაქტორები სულაც არ განაპირობებდნენ ოჯახში ძალადობას, რადგან მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ოჯახში ძალადობა ასევე ხდება იმ ოჯახებში, რომლებიც მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და განათლების მაღალი დონით ხასიათდებიან. ამასთანავე ექსპერტები აღნიშნავენ, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ინფორმაციაზე მეტი ხელმისაწვდომობა და განათლების მაღალი დონე, უფრო მეტად აქვთ შესაძლებლობა დაძლიონ ძალადობრივი გარემო. ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებს შორის ასევე სახელდება: სხვადასხვა ნივთიერებებზე დამოკიდებულება, საზოგადოების ცნობიერების დონე და გარკვეული სტიგმატური დამოკიდებულებები. ევროსაბჭოს კონვენციის თანახმად, კი "მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს პატრიარქალური იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვეულებებსა და ტრადიციებს, აძლიერებს ქალის სუბორდინირებულ როლს ოჯახსა თუ საზოგადოებაში". (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011).

საქართველო წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, სადაც გენდერული სტერეოტიპები ფართოდ არის გავრცელებული. საზოგადოება უმეტეს შემთხვევაში ეთანხმება და აღიარებს ქალის დაქვემდებარებულ როლს. აღნიშნული შეხედულებები და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები ხელს უწყობს ოჯახში ძალადობის პრობლემის არსებობას. ექსპერტული

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემასთან საბრძოლველად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია არის განათლების სამინისტრო. სწორედ განათლების სისტემის მეშვეობით ფორმირდება ბავშვის აზროვნება და შეხედულებები. სწორად მიწოდებული ინფორმაცია, სწორად მოაზროვნე საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ასეთ საზოგადოებაში კი ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაიკლებს.

ევროსაბჭოს კონვენვიის მიხედვით, "ოჯახში ძალადობის მოგვარებისას გადამწყვეტი არ არის დანაშაულის აღკვეთა, არამედ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აღიარება. მათთვის თანასწორი უფლებების, პასუხისმგებლობებისა და შესაძლებლობების გარანტირება." (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011). ამის მისაღწევად, "სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შემუშავებული ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც გააძლიერებს ქალებს და უზრუნველყოფს მათ თანასწორობას მამაკაცებთან. მნიშვნელობანია ასევე, რომ სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილი იყოს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის გამოვლენა და მის მოგვარებაზე აქცენტის გაკეთება." (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011).

4.3 ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარების გზები მულტისექტორული თანამშრომლობის გზით

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული დოკუმენტებიდან და ექსპერტული ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად მრავალი წელია იბრძვიან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. წლების განმავლობაში შემუშავებულ იქნა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული არაერთი დოკუმენტი და კანონი. დოკუმანტთა ანალიზი და ექსპერტთა შეხედულებებიადასტურებს, რომ ოჯახში ძალადობა მრავალწახნაგოვანი პრობლემაა და ყოველთვის იჩენს თავს ახალი ნიუანსები, რომლებიც გასათვალისწინებელია, როდესაც ამ პრობლემის მოგვარების საკითხს ვეხებით.

ექსპერტთა თქმით, საქართველოს კანონმდებლობა, სამართლებრივი მექანიზმების მხრივ შეიძლება ითქვას სიღრმისეულად არის განვითარებული. ჩვენი კანონმდებლობა აღიარებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, როგორც სისხლის სამართლებრივ, ასევე სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ მექანიზმებს.

ექსპერტთა თქმით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა სხვადასხვა ინსტიტუციების კოორდინირებული და ერთობლივი მუშაობა, რაც უფრო ეფექტურს გახდის სამუშაოს შესრულების პროცესს. თითოეული სახელმწიფო უწყების როლი გამოკვეთილია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. შინაგან საქმეთა სამინისტრო უშუალოდ ახორციელებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. ჯანდაცვის სამინისტრო სოციალურ მომსახურებას უზრუნველყოფს, მოსამართლეები კი აღასრულებენ მართლმსაჯულებას ოჯახში ძალადობის ფაქტებზე. სწორედ მათი ურთიერთთანამშრომლობითი სისტემის ჩამოყალიბებაა საჭირო, ვინაიდან ოჯახში ძალადობა ისეთი მოვლენაა, რომ რომელიმე ერთი უწყება ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვნად მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ექსპერტთა ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის საკმაოდ კარგი გამოცდილება არსებობს საქართველოში. თუმცა აუცილებელია ამ პრაქტიკის გაღრმავება და გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის დადებით გამოცდილებაზე საუბრობენ ექსპერტები, აღსანიშნავია იმ ხარვეზების არსებობაზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მულტისექტორული რეაგირების გუნდში ჩართული თითოეული ინსტიტუციის პრობლემას წარმოადგენს. ამ მხრივ, გამოკითხული ექსპერტები ყველაზე მეტად აქცენტს აკეთებენ ჯანდაცვის სისტემისა და სოციალური მომსახურების სისტემაში არსებულ პრობლემებზე. ჯანდაცვის სამინისტრო უნდა უზრუნველყოფდეს სოციალური მუშაკების საქმიანობისათვის ხელისშეწყობას. რაც, პირველ რიგში, გამოიხატება მათი რაოდენობის გაზრდით, სამუშაო გარემოს გაუმჯობესებით, სოციალური მუშაკის ფუნქცია-მოვალეობების დეტალური გაწერით კანონმდებლობაში. მნიშვნელოვანია პროფესიული ზედამხედველობის გაწევა, მათი გადამზადება პროფესიონალური ზრდის თვალსაზრისით.

პროფესიული გადამზადება, ტრენინგები, სამუშაოს შესრულების მონიტორინგი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ნებისმიერი სახის აქტივობა არა მხოლოდ სოციალური მუშაკებისთვის, არამედ სახელმწიფოს სხვა ინსტიტუციების წარმომადგენლებისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც მულტისექტორულ გუნდში არიან ჩართულნი. პოლიციელთათვის მნიშვნელოვანია, მათი სამუშაოს შესრულების პროცესში, პირველ რიგში, ფაქტზე დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინონ. მათ უნდა შეეძლოთ რისკების ზუსტი შეფასება. მნიშვნელოვანია მათთვის რისკის შეფასების კითხვარის ქონა, რომელიც მათ დაეცმარება ეფექტურად შეაფასონ სიტუაცია და რისკები. პრაქტიკოსი მომსახურების მიმწოდებლებისათვის აუცილებელია ცნობიერების მაღალი დონე, რაც გულისხმობს: პროფესიონალიზმს, სტერეოტიპებისაგან და საზოგადოებაში დამკვიდრებული არასწორი შეხედულებებისაგან გათავისუფლებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე ექიმებისათვის არ არის კანონით გაწერილი და გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც უშუალოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და დაზარალებულების გამოვლენისა და იდენტიფიცირების ვალდებულებას აკისრებს მათ. აუცილებელია ექიმებისთვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, მათი ცნობიერების ამაღლება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათთან ერთად სოციალური მუშაკის მუშაობა. ექსპერტთა თქმით, ექიმები, თუ სისხლის სამართლის ნიშნებს არ ხედავენ მსხვერპლის დაზიანებებში თავს არიდებენ და ხშირ შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ, რომ ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი მიზეზი, ძალადობის შედეგად არის მიღებული. ექიმებისათვის ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა სახელმწიფოს ერთ-ერთი მოვალეობა უნდა იყოს.

4.4 შემაჯამებელი მსჯელობა და ძირითადი მიგნებები

ოჯახში ძალადობის პრობლემასთან საბრძოლველად ექსპერტები იზიარებენ იმ აზრს, რომ ოჯახში ძალადობის დანაშაულის ფაქტზე კანონი უნდა იყოს ძალიან მკაცრი. იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დროული და სათანადო რეაგირება მოხდეს, რეფერირების მექანიზმი უნდა მუშაობდეს გამართულად. მულტისექტორულ გუნდში ჩართული ყოველი ინსტიტუცია უნდა განიცდიდეს თავის საკუთარ პასუხისმგებლობას აღნიშნული პრობლემის მოგვარებისას. კანონი უნდა იყოს მორგებული და ორიენტირებული მსხვერპლზე. ყველა სახელმწიფო უწყებას უნდა გააჩნდეს ერთიანი სამოქმედო გეგმა, გაწერილი იყოს მათი მოვალეობები, ვალდებულებები და უფლებები, იმისათვის, რომ რეაგირება იყოს დროული და ეფექტური. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური სამსახური მუშაობდეს 24 საათიან რეჟიმში, თუმცა ამის განხორციელება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. სოციალური სამსახურის ამ რეჟიმით მუშაობა საჭიროა იმდენად, რამდენადაც სამართალდამცავ სისტემას, პოლიციის თანამშრომლებს, სამუშაოს შესრულების დროს ჰქონდეს იმის განცდა, რომ საჭიროების შემთხვევაში დროულად და ეფექტურად ჩაერევა სოციალური სამსახურის წარმომადგენელი პროცესში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უნდა გატარდეს, არის ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ვერ ხერხდება ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების სრულფასოვანი ამოქმედება. ამის მიზეზი გახლავთ მაღალი ფინანსური საჭიროებები, რაც ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საკმაოდ ძვირადღირებულ პროცესს წარმოადგენს. მიუხედავად ფინანსური საკითხისა პრევენციული ღონისძიებების გატარება აუცილებელი და მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის პრობლემასთან ეფექტურად საბრძოლველად. ექსპერტთა აზრით, აუცილებელია სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკის გაღრმავება, რაც ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ეფექტურ რეაგირებაზე დადებითად აისახება. მნიშვნელოვანია მულტისექტორულ რეაგირებაში ჩართულმა ინსტიტუციებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს, რაც

სამუშაოს შესრულების ხარისხს საგრძნობლად გააუმჯობესებს, საჭიროა მათი კომუნიკაციის ზრდა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ვალდებულია ინსტიტუციებს შორის ფუნქციების და მოვალეობების ეფექტურად გადანაწილებას ხელი შეუწყოს, უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოებს შორის კოორდინირებული და ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული სისტემის ჩამოყალიბება. ექსპერტთა თქმით, ყველა სახელმწიფო ინსტიტუციის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ეფექტურად მოხდეს ოჯახში ძალადობის გამოვლენა და მასზე რეაგირება. ამისათვის საჭიროა გამართულად და სწორად მომუშავე რეფერირების მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემთ ინსტიტუციებს ჰქონდეთ უფრო მეტ ინფორმაციაზე წვდომა, განსაზღვრავს როდის რომელი ინსტიტუციის ჩართულობა არის საჭირო და რა პროცედურები არის განსახორციელებელი. ამ შემთხვევაში მომსახურების მომხმარებელი დროულად და ეფექტურად მიიღებს დახმარებას, იქნება ეს პოლიციის დახმარება, სოციალური მუშაკისა თუ ფსიქოლოგის დახმარება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მულტისექტორულ გუნდში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს განათლების სამინისტრო. ამის აუცილებლობაზე საუბრობს ყველა ექსპერტი.

ჯანდაცვის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ჯანდაცვის სამინისტრო განიცდის სოციალური მუშაკების რაოდენობის ნაკლებობას, რაც შესაბამისად აისახება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ასეთი რაოდენობით, რა რაოდენობითაც დღეს სოციალური მუშაკები არიან წარმოდგენილნი სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის დაძლევის საქმეში და შესაბამისად ერთჯერადად განხორციელებული ღონისძიებები არ იქნება ეფექტური.

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოს მუშაობას ოჯახში ძალადობის საკითხებზე, როგორც უკვე აღვნიშნე, სამართალდამცავი ორგანო ყველაზე მეტად და აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში, სხვა ინსტიტუციებთან შედარებით, პოლიციის თანამშრომლებს ხშირად უტარდებათ ტრეინინგები აღნიშნულ საკითხებზე. რაც ასევე სასურველია

მულტისექტორულ რეაგირებაში ჩართული სხვა დანარჩენი ინსტიტუციებისთვისაც, რათა მათი კვალიფიკაცია, ცნობიერება, ხედვა უფრო მეტად გაღრმავდეს და ჩამოყალიბდეს.

სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა, მოახდინოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე ყველა ინსტიტუციის მონიტორინგი, დაადგინონ მუშაობენ თუ არა სხვადასხვა ინსტიტუციები თანმიმდევრულად და კოორდინირებულად, მათი მუშაობის პრინციპები ეფუძნება თუ არა საერთო სამოქმედო გეგმას. მონიტორინგი საშუალებას მისცემს გამოავლინოს არის თუ არა რაიმე ხარვეზი მულტისექტორული რეაგირების გუნდში ჩართულ ინსტიტუციებს შორის. პრობლემის გამოვლენა მოგვცემს მისი აღმოფხვრის საშუალებას, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების მიმწოდებლების ტექნიკური უზრუნველყოფა.

ექსპერტთა თქმით, ამ ეტაპზე საკმაოდ ბევრი ხარვეზი ფიქსირდება, იმისათვის რომ სრულფასოვანი და ეფექტური იყოს ოჯახში ძალადობი დაძლევა, ემ ეტაპზე არსებული სისტემა არ არის ბოლომდე მზად დაიცვას ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები და მაქსიმალურად უზრუნველყოს მათი მომავალი. სახელმწიფო, ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ამ ეტაპზე მათ სთავაზობს თავშესაფრით უზრუნველყოფას, კრიზისული ცენტრით სარგებლობის საშუალებას, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა და იურისტის დახმარებას, სამართლებრივი საკითხების მოგვარების შესაძლებლობას ადმინისტრაციულ საკითხებზე, ეფექტურად მუშაობს დამცავი და შემაკავებელი ორდერები, რომლებსაც პოლიციის ოფიცრები გამოწერენ მოძალადის მიმართ, თუმცა ეს ყველაფერი არ არის საკმარისი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის, რადგან პრობლემას საფუძველში სჭირდება მოგვარება. მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანია თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და დაცულად და არ შეეზღუდოს თავისუფლება. სახელმწიფომ და სხვადასხვა ინსტიტუციებმა კი ეს უნდა უზრუნველყონ, რომ პრობლემები უფრო მეტად დაძლევადი იყოს.

მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იგეგმება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც კანონის გამკაცრებას ეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ის, რომ გენდერული ნიშნით დანაშაულის

ჩადენა დამამძიმებელი გარემოება ხდება ცალკეული დანაშაულებისთვის,მკაცრდება სასჯელი ოჯახური დანაშაულის განმეორებით ჩადენისათვის, შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევისთვის გათვალისწინებულია პირდაპირ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ნაცვლად დღეს არსებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა.

4.5 ფოკუს ჯგუფების შედეგების ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფოკუს ჯგუფები ჩატარდა სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლებთა, როგორებიც არიან: პოლიციის თანამშრომლები, ექიმები, სოციალური მუშაკები და არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ფსიქოლოგი, იურისტი, სოციალური მუშაკი და თავშესაფრის მომუშავე პერსონალი. პოლიციელებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიციის ოფიცრებს ესმით რა არის ოჯახში ძალადობა, რა გამომწვევი მიზეზები შეიძლება არსებობდეს ოჯახში ძალადობის, ამბობენ, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია, თუმცა პოლიციელთა გარკვეული ნაწილი რიგ შემთხვევებში ამართლებს მოძალადეს, და აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძახებისას ხშირ შემთხვევაში მოძალადე არ არის დამნაშავე და მათ ის ეცოდებათ, თუმცა მათი ვალია თუ მსხვერპლი ქალი შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოწერას მოითხოვს, მოძალადის წინააღმდეგ გამოწერონ დამცავი ან შემაკავებელი ორდერი.

რესპონდენტი #3 ამბობს: „ჩემი აზრით, ოჯახში ძალადობა არის ქალის და კაცის უთანხმოება, ვერ გავამართლებ ვერც ერთ მხარეს და ვერც მეორეს, მაგრამ არის ფაქტები, როცა კაცია მართალი და ქალი ტყუის, მაგრამ კაცს ვაკავებთ, ეს შემთხვევები არის ძალიან ვევრი, იმიტომ რომ საქართველოა, აქ კაცი არ ჩივის, აქ ჩივის ქალი.“

რესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ქალებს მეტი თავისუფლება აქვთ და მეტი შესაძლებლობა მამაკაცების წინააღმდეგ განაცხადონ საჩივარი“ რაც გულისხმობს ძალადობის ფაქტზე რეაგირებას და ამ ფაქტის ხმამაღლა აღიარებას. რესპონდენტი ამ ფაქტს დადებითი კუთხით არ განიხილავს, არამედ ის პრობლემად

მიიჩნევს, იმას რომ „ქალებს მეტი თავისუფლება აქვთ“, მეტი წვდომა ინფორმაციაზე და თავის დაცვის შესაძლებლობა.

ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, რესპონდენტი #3 ასევე ამბობს, რომ ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებელი არის ქალი.

„კაცის გამოწვევას რა უნდა, ქალი ისეთ რაღაცას ეტყვის, შემოარტყამ რა ბოლობოლო, თან საქართველოა“

რესპონდენტი ხშირად ახსენებს რომ ფაქტი საქართველოში ხდება. საქართველოს ხსენებისას ის მოიაზრებს, რომ რადგან საქართველოში ხდება ოჯახში ძალადობა, ამიტომაც არის ქალების მეტი მიმართვიანობა. მისი აზრით ქართველი მამაკაცი, კულტურული, ტრადიციული და მენტალური მდგომარეობიდან და გარემოდან გამომდინარე არ აღიარებს თუ ისიც განიცდის რაიმე სახის ძალადობას, ქალებისთვის კი ეს მარტივ პროცესად წარმოუდგენია. მისი აზრით მამაკაცი ღირსების შელახვად თვლის მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის აღიარებას.

რესპონდენტი #4 ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ხშირად ეჭვიანობის ნიადაგზე ხდება ძალადობა, არის ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორებით განპირობებული.

რესპონდენტი #4 ასევე აღნიშნავს, რომ „არის მსხვერპლთა კატეგორია, რომლებიც ნამდვილად მსხვერპლია, და არის კატეგორია, რომლებიც თვითონ იწვევენ მამაკაცს, ახდენენ პროვოცირებას“

როდესაც ვკითხეთ, თუ რას ნიშნავს „ნამდვილად მსხვერპლთა კატეგორია“ განმარტა, რომ „ნამდვილ მსხვერპლზე“ კაცი რეალურად ძალადობს სხვადასხვა გზით, იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა თუ იძულება. ნამდვილი მსხვერპლები გამოირჩევიან მოძალადის მიმართ შიშის გრძნობით, მოძალადეზე გარკვეული სახის დამოკიდებულებით, მის მიმართ მიჯაჭვულობით, „შესაძლოა ასეთი სახის სხმვერპლმა გამოძახების შემთხვევაზე მისვლისას მაშინვე უარყოს ძალადობის ფაქტი, თუმცა სწორედ ეს ნიშნავს რომ ის მსხვერპლია და მას დახმარება სჭირდება“

მეორე კატეგორიას, რესპონდენტი ასე განმარტავს: „ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქალი კაცის პროვოცირებას ახდენს, იმ მიზეზით რომ შემდეგ გაუადვილდეს კაცთად დაშორება, რადგან მისგან წასვლა უნდა.“

რესპონდენტები მართალია გმობენ ძალადობას, და შემთხვევებზე გამოძახებისას ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ისინი მაინც ყოფენ ძალადობის მსხვერპლ ქალებს კატეგორიებად, და ნაწილობრივ ამართლებენ მოძალადე მამაკაცებს. რესპონდენტებისათვის არ არის ერთი რამ უცვლელი, რომ ძალადობას გამართლება არ აქვს, როდესაც ძალადობის ფაქტი ხორციელდება ქალის მიმართ, ძალადობის მსხვერპლი არის ქალი და არა კაცი.

მსგავსი შეხედულებები გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტიური ჩართულობისა, სამართალდამცავი ინსტიტუციის აქტიურობისა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მიუხედავად ტრეინინგებისა და გადამზადებისა, რომლებიც სამართალდამცავ ინსტიტუციას ყველაზე ხშირად უტარდებათ, ჯერ კიდევ ბევრი არის სამუშაო მათთან, რომ საზოგადოებაში კარგად ფესვგადგმულმა დამოკიდებულებებმა ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართ, მათ პროფესიონალიზმზე გავლენა არ მოახდინოს.

რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლობას სხვადასხვა ინსტიტუციებთან, რომლებიც ოჯახში ძალადობის გამოვლინებას და აღმოფხვრას ემსახურებიან, პოლიციის თანამშრომლები აქტიურად თანამშრომლობენ ისეთ ინსტიტუციებთან, როგორებიცაა ჯანდაცვის სისტემა, სოციალური სამსახური და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებისას, თუ სასწრაფოს ექიმი ხედავს სისხლის სამართლის დანაშაულის კვალს, ის აუცილებლად ატყობინებს ფაქტს პოლიციას. ასევე აღნიშნავენ, რომ: „ თუ მსხვერპლი საჭიროებს დაცვას, ან საქმე ეხება სოციალურ დახმარებას, ან თავშესაფრით უზრუნველყოფაა საჭირო, სამართალდამცავი ორგანო, და ფაქტზე მომუშავე პოლიციის ოფიცრები აუცილებლად ვთანამშრომლობთ სოციალურ სამსახურთან და სოციალურ მუშაკებთან.“

რესპონდენტი #5 აღნიშნავს, რომ ხშირად არის შემთხვევები, „როდესაც მსხვერპლი შეიძლება არაადეკვატური იყოს და მოცემულ სიტუაციაში ვერ მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, ან ფსიქოლოგიურად იყოს იმდენად მძიმე მდგომარეობაში, რომ უჭირდეს სიტუაციის შეფასება, ჩვენ ამ დროს სწორედ სოციალური მუშაკის დახმარება გვჭირდება, და მივმართავთ, მათ, რომ დაეხმარონ დაზარალებულს და გაუწიონ შესაბამისი მომსახურება.“

პოლიციის თანამშრომლების აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, რომ მოძალადის მიმართ კანონი უნდა გამკაცრდეს. პოლიციელთა უმრავლესობა, მიიჩნევს, რომ კანონი უნდა გამკაცრდეს. „სასჯელი არ უნდა იყოს მსუბუქი, მოძალადე ადმინისტრაციული სასჯელით არ უნდა ისჯებოდეს. მის წინააღმდეგ პირველივე ძალადობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.“ პოლიციელთა თქმით ეს უფრო ეფექტური იქნება ოჯახში ძალადობის პრობლემის დასაძლევად. როდესაც ადამიანს ექნება იმის განცდა, რომ ის გარკვეული საქციელის გამო, ამ შემთხვევაში ძალადობის გამო მკაცრად დაისჯება, ის შეეცდება არ განახორციელოს ძალადობრივი ქცევა.

მეორე მხარე კი ამბობს, რომ თუ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი გამკაცრდება, „ციხეები გაივსება“. რაც არ იქნება ეფექტური პრობლემის მოსაგვარებლად.

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ასევე ექიმებთან. მათი მონაწილეობა ოჯახში ძალადობის გამოვლენის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საკმაოდ დიდია. ექიმებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა გამოავლინა, რომ მათ თითქმის არ უტარდებათ ტრეინინგები ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. თუ სასწრაფოს ექიმებთან გვაქვს შეხება, ისინი გამოძახების დროს, როდესაც ამჩნევენ სიცოცხლისთვის საშიშ დაზიანებებს ატყობინებენ პოლიციას, ამ შემთხვევაში პოლიცია ახდენს იდენტიფიცირებას. რესპონდენტი #1 აღნიშნავს, რომ: „ჩვენ არ გვაქვს რაიმე სახის ვალდებულება და ეს არ რაის გაწერილი ჩვენს სამუშაო წესდებაში, განვსაზღვროთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არის თუ არა პაციენტი. ექიმი თავისი გამოცდილებით და დაკვირვებით ახდენს პაციენტის კატეგორიზაციას, შესაძლოა ის იყოს თუ არა მსხვერპლი.“

რესპონდენტი #3 ამასთან დაკავშირებით ამბობს: „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გვქონდეს ინფორმაცია რომელსაც პაციენტს მივაწვდით, თუ ის ძალადობის მსხვერპლია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ სად შეიძლება ძალადობის მსხვერპლი პაციენტი გადავამისამართოთ, უნდა ვიცოდეთ თავშესაფრის, ან კრიზისული ცენტრის ტელეფონის ნომრები, რომ შევძლოთ მკურნალობის შემდეგ, და პირველადი დახმარების შემდეგ სხვა სახის დახმარება შევთავაზოთ.“

ექიმები აღნიშნავენ, რომ მათთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობა, რომ ისინიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. თუმცა თუ ჯანდაცვის სამინისტრო უფრო მეტად არ გააქტიურდება ექიმებისათვის ამ საკითხების უფრო ღრმად გასაცნობად და პროფესიულ ვალდებულებად არ გახდიან ექიმისთვის ოჯახში ძალადობის ნიშნებისა და მსხვერპლი ქალების გამოვლენას, ეს მხოლოდ მათ ადამიანობასა და კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, რაც ეფექტურ შედეგამდე ვერ მიიყვანს სახელმწიფოს, რომელიც ოჯახში ძალადობას ებრძვის.

აქვე განვიხილოთ სოციალური მუშაკების ჩართულობა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. სოციალურ მუშაკებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, რომ სოციალური მუშაკები აქტიურად მუშაობენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს ქალებთან. მათ ვალდებულებაში შედის მათთვის ყველა იმ საჭიროების დაკმაყოფილება, რომლებსაც მოითხოვენ და საჭიროებენ, ასევე ვალდებულნი არიან ეფექტურად გამოავლინონ და დროულად გადაამისამართონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი.

რესპონდენტი #2 ამბობს, რომ „ხშირად მიწევს მუშაობა პოლიციასთან ერთად, არის შემთხვევები, როდესაც ადგილზე მივსულვარ და მოძალადე მამაკაცი ისევე დამმუქრებია მეც, როგორც საკუთარ ცოლს, ასეთ შემთხვევებში რთულია მარტომ იმუშავო, სწორედ ასეთ დროს გვჭირდება პოლიციის ჩართულობა და დახმარება.“

რესპონდენტი #1 ამასთან დაკავშირებით ამბობს, „რომ ხშირ შემთხვევებში პოლიცია ამართლებს დამნაშავეს და მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლება. აუცილებელია რომ ისეთი სტრუქტურები, როგორებიც სოციალური სამსახური და

სამართალდამცავი სისტემაა შეთანხმებულად მუშაობდეს. მე ვიცი, რომ პოლიცია ეხმარება ხშირად სოციალურ მუშაკებს, მაგრამ საპირისპირო ფაქტებიც ბევრი ხდება, ამიტომ ვფიქრობ კარგი იქნება უფრო მეტი შეხვედრები მოეწყოს ამ სტრუქტურებს შორის და რა თქმა უნდა მოხდეს კადრების გადამზადებაც.“

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფს, მასში მონაწილე რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ მნიშვნელოვანია ყველა ინსტიტუციის ჩართულობა. არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობას სახელმწიფო და მასში შემავალი სტრუქტურები უნდა უწყობდნენ ხელს. მხარს უჭერდნენ იმ პროცესებს და აქტივობებს, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით ახორციელებენ მისი წევრები. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მუშაობენ როგორც საზოგადოების და სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების კუთხით, ასევე ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას უზრუნველყოფენ. მსხვერპლებს შესაძლებლობა აქვთ იცხოვრონ უსაფრთხო გარემოში, მიიღონ ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და იურისტის კონსულტაცია. ფსიქოლოგები მხვერპლებთან მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ატარებენ ჯგუფურ თერაპიებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ისინი მსხვერპლებს ეხმარებიან რეაბილიტაციაში, აქვთ სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც ემსახურება მათ განათლების მიწოდებას და სამუშაოს პოვნის შესაძლებლობებს.

ასევე აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია გარკვეული სახის რეაბილიტაციის შემდეგ, მსხვერპლებს გამოუმუშავდეთ უნარები, რომლებსაც საკუთარი თავის მოვლის, რჩენის, გარემოსთან ადაპტაციის და შეგუებისთვის, რთულ სიტუაციებთან გამკლავებისათვის გამოიყენებენ.

თავი 5. ძირითადი რეკომენდაციები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ოჯახში ძალადობა მრავალმხრივი პრობლემაა, და მის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები გადადგას, სახელმწიფომ უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის დასაძლევად მულტისექტორული რეაგირების გუნდის ჩამოყალიბება, რომლებიც ზუსტად გაწერილი მითითებებითა და რეკომენდაციებით იხელმძღვანელებენ. აღნიშნული წესები და სამოქმედო გეგმა ყველა ინსტიტუციისთვის უნდა იყოს საერთო, რომ ოჯახში ძალადობის დაძლევა მოხდეს ეფექტურად.

კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა იმის საჭიროება, რომ აუცილებელია ჯანდაცვის სისტემის უფრო მეტი ჩართულობა ოჯახში ძალადობის პრობლემასთან ბრძოლის საქმეში. პირველ რიგში მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების რაოდენობის დამატება, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო იყოს შედეგზე ორიენტირებული. ჯანდაცვის სისტემის კომპეტენციაში შედის ასევე ექიმების პროფესიონალურ დონეზე გადამზადება, რომ მოხდეს მსხვერპლის ეფექტური და დროული იდენტიფიკაცია. ექიმთან მისული პაციენტი, რომელიც ძალადობის მსხვერპლია, ძალადობის მსხვერპლად განიხილოს და არა უბრალო პაციენტად, ეს მომართვიანობის სტატისტიკის დადგენასაც ხელს შეუწყობს.

ექსპერტული ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ მონიტორინგი არის მნიშვნელოვანი. აუცილებელია მულტისექტორულ რეაგირების გუნდში ჩართული თითოეული ინსტიტუციის მუშაობის ხარისხის შემოწმება, რაც სასურველი შედეგის მიღწევას შეუწყობს ხელს.

ექსპერტთა ინტერვიუებმა ცხადყო ასევე, რომ მულტისექტორული რეაგირების გუნდში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს განათლების სამინისტრო.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საინფორმაციო აქტივობა ხორციელდება ოჯახში ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით, საჭიროა კიდევ უფრო მეტად გააქტიურება ამ მხრივ. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, დამკვიდრებულ სტერეოტიპებთან აქტიური ბრძოლა და მათი დაძლევა.

კვლევამ დაგვანახა ასევე იმის საჭიროება, რომ არა მხოლოდ მსხვერპლთა ცნობიერების ამაღლებასა თუ მათ დახმარებაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ და სხვადასხვა ინსტიტუციებმა, არამედ აუცილებელია, მოძალადეთათვის სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობა, მათი ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა.

თავი 6. დასკვნა

ოჯახში ძალადობის დაძლევა ეფექტური რომ იყოს, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული რეაგირების გუნდის ჩამოყალიბება ისე, რომ მათი მუშაობა იყოს შეთანხმებული, ერთიან სამუშაო გეგმაზე დაფუძნებული და თითოეული უწყების უფლება -მოვალეობები იყოს მკვეთრად გაწერილი. აუცილებელია საერთაშორისო რეკომენდაციებისა და გამოცდილების გათვალისწინება, და ისე განხორციელება, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს ზუსტად მოერგოს. მნიშვნელოვანია მულტისექტორული რეაგირების გუნდისთვის მონიტორინგის გაწევა და მუდმივად მომსახურების მიმწოდებლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნდა და ამ პროცესის ხელის შეწყობა.

თავი 7. გამოყენებული ლიტერატურა

1. Multi-sectoral response to GBV. An effective and coordinated way to protect and empower GBV victims/survivors, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health.
2. Pssycho-social services provision, part of multi-sectoral response to GBV, Standard Operating Procedures, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health.
3. Health care services provision, part of multi-sectoral response to GBV, Standard Operating Procedures, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health.
4. Police services provision, part of multi-sectoral response to GBV, Standard Operating Procedures, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health.
5. Towards a Multi-sectoral Response to Gender-Based Violence, Mapping te Current Situation in the Countries of Eastern Europe and Central Asia, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health.
6. სალომე ნამიჭეიშვილი - სოციალური მუშაკის როლი ოჯახში ძალადობის სფეროში, კონცეფციის სამუშაო ვერსია, ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და დახმარების ფონდი. მარტი, 2016 წელი.
7. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის, სასწავლო კურსისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, თბილისი, 2012 წელი.
8. შიშისგან დაცული - ძალადობისგან დაცული, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბულის კონვენცია, ევროპის საბჭო, რედაქტირებული ვერსია, 2015.
9. მაია კუპრავა-შარვაშიძე, არა-ოჯახში ძალადობას!, არსებული კანონმდებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები, გვ. 12. თბილისი, 2017.
10. საერთაშორისო და რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, თბილისი, 2008 წელი.

11. ტრენინგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის თანამშრომლებისათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ სამუშაო მასალები, 2018 წელი.
12. საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი. კვლევა ჩატარდა მკვლევართა საინიციატივო ჯგუფის მიერ: ნ. ჭაბუკიანნი, გ.ჯიბლაძე, ნ. უბილავა, ქალთა ფონდი საქართველოში, თბილისი, 2014.
13. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, საბოლოო ანგარიში, მკვლევართა ჯგუფი: მ. ჩიტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ლ. არუთინოვი, ლ. წულაძე, ს. ჩაჩანიძე, თბილისი, 2010.
14. ბ. პატარაია, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, სოციალური მომსახურება - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაკარგული ნაწილი, პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, ივლისი, 2016 წელი.
15. http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-odjakhuri-danashaulis-shesakheb-momartvianoba-bolo-6-tveshi-sagrdznoblad-gaizarda/11806

Ivane Javakhishvili Tbilisi State Universiti

Eter Nebieridze

Teona Kupatadze

Multi-sectoral response to overcome domestic violence – International and local perspective

Faculty of Social and Political Sciences

Master Thesis is done to obtain the Master's Degree in Social Work

Supervisor: Associate Professor

Salome Namitcheishvili

Tbilisi 2018